საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორიგ

ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი. 2019 წ. №215 (8881) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი: რას ვგეგმავ წყალტუბოს გადასარჩენად და როგორი ფორმით?!

იხ. 3 გვ.

ხვალინდელი დღის ნუ გეშინია, ქართველო!

გიორგი გახარია: ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის საქმით დგას იქ, სადაც სჭირდება ქვეყანას და ხალხს

წყალტუბოს აღორძინების **პროექტი არის მისი კიდევ ერთი დიდი საქველმოქმედო ინვესტიცია, რომელიც წყალტუბოს თავის ფუნქციას დაუბრუნებს და საერთაშორისო კურორტის სტატუსს შესძენს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

როგორც გიორგი გახარიამ აღნიშნა, წყალტუბო გახდება მასშტაბური ტურისტული ცენტრი, რომელიც დიდ სტიმულს მისცემს იმერეთის რეგიონისა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.

„კურორტის აღდგენას აუცილებლად მოჰყვება რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რაც იმას ნიშნავს, რომ ათეულობით ათას ოჯახს მუდმივი შემოსავლის წყარო გაუჩნდება. ეს არის უნიკალური პროექტი, რომლის განხორციელებაც მრავალი წლის განმავლობაში ვერ შეძლო ვერც სახელმწიფომ და ვერც კერძო სექტორმა. ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის საქმით დგას იქ, სადაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ხალხს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

„საპატრიარქო ტახტისკენ თვალი იაკობსაც ხომ არ უჭირავს?!“

5

ბრიტანეთთან დაიდო ყოვლის-მომცველი ხელშეკრულება

ინტერვიუ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს ელჩთან თამარ ბერუჩაშვილთან.

8

ახალგორის ოკუპირებულ რაიონში შიმშილი დაიწყო!

4

...მოიძებნებიან ღირსეული ინვესტორები, რომლებიც შეკრავენ ანაკლიის პორტის პროექტს

4

ერთი მხარდამჭერის იმედად დარჩენილი დარგი

7

რაში დახარჯეს მერიებმა სარეზერვო ფონდების მილიონები?

6

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს



გთხოვთ, ახალგაზრდებს მხარი დაუჭიროთ ჩანაფიქრის ხორცშესხმაში!

9

ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა პროფესიული განათლების ზრდისა და შრომის ბაზრის განვითარების 150-მილიონიან პროგრამას იწყებენ!

ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა იწყებენ ახალ 150-მილიონი ლარის ოდენობის პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ზრდასა და შრომის ბაზრის განვითარებას საქართველოში. ხუთწლიანი პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს 105 000 საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში, მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების, გაუმჯობესებული შრომითი პოლიტიკისა და სამეწარმეო გადამზადების გზით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა, აგრეთვე ევროპული განათლების ფონდის დირექტორმა ჩეზარე ონესტინმა, „განათლება დასაქმებისთვის“ (Skills@Jobs) პროგრამის მეორე ფაზა ოფიციალურად გახსნეს. ღონისძიება სსიპ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში გაიმართა.

ახალი ხუთწლიანი პროგრამა, რომლის მთლიანი ბიუჯეტი 48.85 მილიონ ევროს (დაახლოებით 156 მილიონი ლარი) შეადგენს, მიზნად ისახავს შესაბამისი უნარების და პროფესიული განათლების, სწავლების, მეწარმეობის დარგში არსებული მომსახურების და საგანმანათლებლო შესაძლებლობების თანხვედრას, მათ შორის ახალგაზრდებისთვის, ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის საქართველოს მასშტაბით.

პროგრამის ძირითადი ამოცანებია: **პროფესიული განათლებისა და სწავლების მეშვეობით, საქართველოს მასშტაბით, 15-29 წლამდე ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებლის სულ მცირე 10-პროცენტიანი ზრდა 2017 წელთან შედარებით;**

რეგიონებში პროგრამის ფარგლებში გადამზადებულ დასაქმების მაძიებელთა სულ მცირე 20 პროცენტის დასაქმება სამი თვის ვადაში; ხუთწლიანი მოსალოდნელი ეროვნული უნარების ანგარიშის გამოქვეყნება.

გახსნის ცერემონიაზე ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა აღნიშნა, რომ დასაქმების საკითხი მნიშვნელოვანია ყველა ადამიანისთვის ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში.

ევროპული განათლების ფონდის დირექტორმა ჩეზარე ონესტინმა აღნიშნა, რომ ცოდნა-უნარების განვითარება საქართველოში ევროპული განათლების ფონდის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს.

„საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის ახალგაზრდები მიიღებენ სარგებელს მიმდინარე რეფორმებიდან, უკეთესი განათლებისა და გადამზადების შესაძლებლობების მეშვეობით, რაც მათ დაეხმარებათ უკეთესი სამუშაო ადგილების პოვნაში“.

ირმა ინაშვილმა მდინარაძეს „მშვიდად“, „სათნოდ“ მიმართა, ნუ აბრახუნებთ ამ პროცენტებსო!

განიავდით, ნუ აბრახუნებთ ამ პროცენტებს, — ასე მიმართა „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა გუშინ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „ქართული ოცნების“ წევრებს.

„მუდმივად გვესმის, თურმე „ქართული ოცნება“ აიღებს 60%-ს, ალბათ 80%-ს და შესაძლოა, 95%-ს, რატომ არა 100%-ს, თქვენ ხომ საერთოდ არავინ გჭირდებათ და აიღეთ პირდაპირ 100%, დარჩით მარტო და მოუსმინეთ ერთმანეთს. ეს არის რეალობას მოწყვეტილი სრულიად აბსურდული განცხადებები, შეურაცხმყოფელი ქართველი საზოგადოებისთვის, რომ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, თქვენ მიზანმიმართულად გამოდიხართ და ამბობთ, როცა გაქვთ სულ რაღაც 12-15% და ეტყობა, არ დადიხართ სოფლებსა და რაიონებში, რომ რეალურად იცოდეთ, რა მხარდაჭერა გაქვთ. ახლა აცხადებთ, რომ თურმე შუალედურ არჩევნებში მიღებული შედეგებიდან გამომდინარე 60% გაქვთ.

ჯერ ერთი, შუალედური არჩევნები რომ ჩატარდა, პოლიტიკური კლასისთვის აბსოლუტურად უინტერესო იყო და მთელი რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე, ის შედეგი არანაირად არ აისახება 2020 წლის საარჩევნო შედეგზე. თქვენ ხართ ის ხელისუფლება და ხალხი, რომელიც თქვენს მენტალიტეტში ვერ იცვლებით, არაფრის დათმობა და გაყოფა არ გინდათ. ასეთი აზროვნება, ჩემო მეგობრებო, ძალიან ცუდად მთავრდება ხოლმე, ამიტომ, „ქართულ ოცნებას“ მოვუწოდებ, წინასწარ პროცენტების ბრახაბრუხისგან თავი შეიკავეთ. როდესაც ემოციურად აცხადებთ ხოლმე, რომ კოალიციას არავისთან არ შექმნით და რაღაც წითელი ხაზები გაქვთ, ჩვენც გვაქვს გავლებული წითელი ხაზი თქვენთან, ვინმე გეხვეწებათ რაიმე კოალიციის შექმნას? ან რაიმე პარტნიორობას? რეალობას უნდა დაელოდოთ 2020 წლის არჩევნებისთვის, რა რეალობა შედგება და ხალხი ვის და რატომ მისცემს ხმას, მერე სხვანაირად აჭიკჭიკდებით.

მოსყიდვასა და დაშინებას ამბობთ „პატრიოტებიც“ და „ნაცებიც“, საერთო მესიჯი რატომ გამოგდით?!.

„პატრიოტთა ალიანსსა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთო მესიჯი გამოგდით“, — ასე მიმართა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერ ირმა ინაშვილს.

„ირმა ინაშვილმა თქვა, რომ 12-15%-ია ჩვენი მხარდაჭერა და თურმე სოფლებში არ დავდივართ მაშინ, როცა რამდენიმე ასეული სოფელი ჩვენმა დეპუტატებმა მოიარეს უკანასკნელი ორი-სამი თვის განმავლობაში და ზუსტად ვიცით საზოგადოების განწყობა. გეტყვით მშრალი ფაქტებით, რადგან არგუმენტებში უკვე ვიკარგებით, ისეთ რაღაცებს ლაპარაკობთ. მშრალი ფაქტებით 2016 წლის შემდეგ რა ხდება: 2016 წლის 8 ოქტომბერი საპარლამენტო არჩევნები — „ქართული ოცნება“ — 48, 68%; 2017 წლის 21 ოქტომბერი თვითმმართველობის არჩევნები — 55, 81%; 2019 წლის 19 მაისი, ისევ თვითმმართველობის შუალედური არჩევნები — 61%. გუშინწინ, როდესაც აფენში ჩასული იყო ბოკერიას პარტიის მთლიანი შემადგენლობა, იქ მათ მიიღეს 14% და „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო 84%.

ახლა როგორც გინდა, ისე გავშალოთ და ვილაპარაკოთ, ვიღაც მოისყიდეთ, დაიშინეთ. ხალხი არ ლაპარაკობს ამას და ლაპარაკობთ მხოლოდ თქვენ. კარგია, მე და თქვენ რომ ვჩხუბობთ, რაღაცებს აღარ დაგვაბრალებენ. ქალბატონო ირმა, ბრაზდებით იმ არგუმენტებზე, რაც არის მართალი. ეს არის რეალობა. ყველანი ხომ იყავით ჩასული, მიიღეთ 14 პროცენტი და გაძლევთ გარანტიას, რომ ეს იქნება თქვენი მაქსიმუმი. ეს არის სიმართლე, რაზეც თქვენ ღიზიანდებით. საარჩევნო შედეგები დამოკიდებულია ზოგადად იმ სიმართლეზე, რომელიც არ არის ორგვარი ინტერპრეტაციის საფუძველი. დაშინება და მოსყიდვა არის ტყუილი, რომელიც თქვენ მოიფიქრეთ. ეს იქნება 2020 წლის შედეგებიც, რაზეც თქვენ ასე წინასწარ წუხხართ“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

არაკვალიფიციური კადრები სახელმწიფო სტრუქტურებში მიუღებელია!..

„ქართული ოცნების“ დეპუტატები ექსმინისტრის განცხადებას აფასებენ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი გიორგი ქობულია აცხადებს, **რომ მთავრობასა და ხელისუფლებაში ძალიან ხშირად ადამიანები თანამდებობებზე არა კვალიფიკაციის მიხედვით, არამედ ნაცნობობით ინიშნებიან. სწორედ ამიტომ მისი თქმით, სახელმწიფო სტრუქტურებში დიდი რაოდენობით არაკვალიფიციური ხალხი მუშაობს.**

„კომერსანტი“ **დაინტერესდა, როგორ აფასებენ ექსმინისტრის სკანდალურ განცხადებას მმართველი გუნდის წევრები, სმენიათ თუ არა მათ ნეპოტიზმის ფაქტების შესახებ სახელმწიფო სტრუქტურებში და აფერხებენ თუ არა არაკვალიფიციური კადრები სახელმწიფოს განვითარებას?**

არაკვალიფიციური კადრები სახელმწიფო სტრუქტურებში მიუღებელია **„ქართული ოცნების“ დეპუტატ ზაზა პაპუაშვილისთვის**. თეატრისა და კინოს ყოფილი მსახიობი აცხადებს, რომ არაპროფესიონალი ადამიანები ქვეყნის წინსვლას აფერხებენ.

როდესაც კადრის შერჩევა ხდება, კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია. ყოფილ მინისტრს რა აძლევს ამის თქმის საშუალებას, არ ვიცი, თუმცა ჩემი პოზიცია შემდეგია, მე არ მიყვარს არც ნეპოტიზმი, არც უვიცი და უვარგისი ადამიანები თანამდებობებზე. ვისაც კვალიფიკაცია არ გააჩნია, იმან ქვეყანას რა უნდა შესძინოს? ქობულია მინისტრი იყო და რაღაცას წააწყდა ალბათ, თუ მსგავსი ფაქტები ნამდვილად ხდება, ამაზე რეაგირება უნდა მოხდეს — აცხადებს პაპუაშვილი.

ზაზა პაპუაშვილისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს მისივე თანაგუნდელ **დაჩი ბერაიას**. „ქართული ოცნების“ წევრს თანამდებობაზე ნაცნობობით დანიშვნის შესახებ არასდროს სმენია. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აცხადებს, რომ ქვეყანაში თუ ნეპოტიზმი მართლა არსებობს ეს მის განვითარებას ხელს აშკარად შეუშლის.

საჯარო სტრუქტურებში თანამდებობის პირების ოჯახის წევრები რომ მუშაობენ, ამას „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კვლავაც ადასტურებს. არასამთავრობო ორგანიზაციამ სახელმწიფო თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები შეისწავლა და გამოავლინა შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირების ოჯახის წევრები დასაქმებულნი არიან იმავე უწყებაში ან მასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ორგანოებში ან მის საქვეუწყებო დაწესებულებებში. „საერთაშორისო **გამჭვირვალობა — საქართველოს“ პროექტების მენეჯერი ერეკლე ურუშაძე** ქვეყანაში ნეპოტიზმის პრობლემას ადასტურებს და ამბობს, რომ ადამიანების არაკვალიფიციურობა ქვეყნის განვითარებაზე ნეგატიურად აისახება.

„საჯარო სექტორში მნიშვნელოვან პოზიციებზე ბიძინა ივანიშვილის კომპანიებიდან წამოსული კადრები ინიშნებიან, ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ბევრია ძალოვან სტრუქტურებში. სახელმწიფო სტრუქტურებს რაც შეეხება, ამის გაზომვა რიცხვებში ძალიან რთულია. ჩვენ მხოლოდ სახელმწიფო თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები შევისწავლეთ, სადაც თავიანთი ნათესავების შესახებ არაფერი უწერიათ. ჩვენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 350-ზე მეტი მსგავსი შემთხვევა ვიპოვეთ, თუმცა ნათესავებსაც თუ ჩავთვლით, რეალურად უფრო მეტი ადამიანი იქნება დასაქმებული. ცხადია, რომ პრობლემა არსებობს, ტენდენციები ჩანს. იგივე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას თუ შევხედავთ, მოქალაქეები ფიქრობენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებისთვის მთავარი ფაქტორი არის ნაცნობობა და არა პროფესიონალიზმი. თუ კი ეს რიცხვი რეალობაში უფრო მაღალია, თუ ჩავთვლით, რომ ნაცნობობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჯარო სამსახურში დასაქმებისთვის, ცხადია, რომ ეს ქვეყნის განვითარებაზე ნეგატიურად აისახება, რადგან ეს ნიშნავს, რომ საჯარო სამსახურში ყველაზე კვალიფიციური ადამიანები არ საქმდებიან. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი საჯარო ადმინისტრაცია, ჩვენი ბიუროკრატია იყოს მაქსიმალურად ეფექტური და მაღალი ხარისხის, სადაც ყველაზე მცოდნე ადამიანები დასაქმდებიან, თუ კი რაიმე სხვა ფაქტორი იქნება დასაქმებისთვის გადამწყვეტი, ეს არღვევს ჩვენი საჯარო ადმინისტრაციის ხარისხს“, — განმარტავს **ერეკლე ურუშაძე.**

ბაჩო ადამია

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲠᲐᲡ ᲕᲒᲔᲒᲛᲐᲕ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ?!

ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲗᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲑᲘ“ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ:

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ წინაპრებისგან უნიკალური ქვეყანა გვერგო – დიდი ისტორიით, მრავალსაუკუნოვანი კულტურით და საოცარი ბუნებით. ჩვენ ქვეყნაში მთას, ზღვას, მინერალურ წყლებს და ქვიშასაც კი მაცოცხლებელი ენერგია აქვს. მაგრამ არსებობს სრულიად გამორჩეული ადგილები, რომლებსაც თავისი პოტენციალით უდიდესი მიზიდულობის შექმნა შეუძლია. სწორედ ასეთია **წყალტუბო** – უნიკალური სამკურნალო, სარეაბილიტაციო და ტურისტული პოტენციალით.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებში, პრაქტიკულად გავერანდა წყალტუბოს სამედიცინო და ტურისტული ინფრასტრუქტურა. კურორტი, რომელიც 22 სანატორიუმითა და 9 ბალნეოლოგიური აბანოთი ქმედით კონკურენციას უწევდა არა მარტო რეგიონის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის მსგავს კურორტებს, დღეს მხოლოდ ერთი მოქმედი სასტუმროს და მთლიანად განადგურებული ინფრასტრუქტურის ამარაა დარჩენილი. კურორტის აღდგენა და განვითარება უკვე მესამე ათწლეულია, მრავალ, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ვერ შეძლო ვერც სახელმწიფომ და ვერც ბიზნესმა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წლების განმავლობაში, სახელმწიფოს ჰქონდა მცდელობები, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სტანდარტული მეთოდით მოეზიდა კერძო ინვესტიციები ტურისტული და



ᲐᲛᲘᲡ საუკეთესო მაგალითია **ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ**, რომელიც ისეთივე უნიკალური საკურორტო ადგილია, როგორც წყალტუბო, მაგრამ წყალტუბოს მსგავსად, იქაც ათეული წლებია, სახელმწიფომ ვერ მიიზიდა ინვესტორები. თუმცა, როგორც კი გაჩნდა აბასთუმნის მასშტაბური განვითარების გეგმა და გარანტია, კერძო ბიზნესი დიდი მონდომებით ჩაერთო პროექტში. შედეგად, აბასთუმანში, ამჟამად მშენებარე მაღალი კლასის ექვსი სასტუმროდან, მე მხოლოდ ერთს – „პარაგრაფს“ ვაშენებ, ხოლო დანარჩენ ხუთს: „რუმსს“, „რედისონს“, „ქრაუნპლაზას“, „რედიქს ჯგუფის“ ორ სასტუმროს – სხვა ქართველი ბიზნესმენები აშენებენ, ისევე, როგორც საშუალო და პატარა ზომის რვა სასტუმროს და ოთხასბინიან საცხოვრებელ აპარტამენტს. უკვე დაიწყო უნიკალური აბანოების აღდგენა, შენდება კაფეები, რესტორნები და სავაჭრო ობიექტები. აბასთუმნის ჯამურმა ინვესტიციისამკურნალო ბიზნესის განსავითარებლად, ეს მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან განვითარების ერთიანი, კომპლექსური გეგმის და, რაც მთავარია, ამ გეგმის განხორციელების გარანტიის გარეშე, წერტილოვანი ინვესტიციების ჩადება ცალკე აღებულ ერთ სასტუმროში ან ბალნეოლოგიურ სპა-ცენტრში – მაღალი რისკის მატარებელი იყო და ბიზნესსაც არ გაემტყუნება, რომ არ გარისკა.



ვინაიდან სახელმწიფოს ამჟამად არ აქვს რესურსი, რამდენიმე ასეული მილიონის ინვესტიცია განახორციელოს წყალტუბოს სრულმასშტაბიანი რეაბილიტაციისთვის, ხოლო მისი ერთიანი, სტრატეგიული განვითარების გეგმის არარსებობის პირობებში, ბიზნესიც ინერტულია – მივიღე გადაწყვეტილება, პირადად ჩავუდგე სათავეში წყალტუბოს აღორძინების პროექტს. გადავწყვიტე, პირადი სახსრებით დავიწყო და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში განვახორციელო არა მხოლოდ ამჟამად სრულიად ამორტიზებული ტურისტული და სამკურნალო ინფრასტრუქტურის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაცია, არამედ თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით და დაცვით უზრუნველვყო მისი განვითარება.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ ათეული წლების განმავლობაში გაპარტახებული და დეპრესიულ ადგილად ქცეული საკურორტო კლასტერების მკვდარი წერტილიდან დაძვრა და მისი ნახტომისებრი განვითარება სტანდარტული მიდგომით შეუძლებელია. საჭიროა მძლავრი კატალიზატორი, ერთგვარი ყინულმჭრელი, რომელიც მდგრადობას შესძენს პროექტს და საკუთარი მონაწილეობით დააზღვევს სხვის კერძო ინვესტიციას.

ამ უკვე მილიარდნახევარ ლარს მიაღწია. სახელმწიფოც, შესაძლებლობების ფარგლებში, ცდილობს, არ ჩამორჩეს კერძო ინიციატივას – გაყავს გზები, აწესრიგებს წყლის და სხვა ინფრასტრუქტურას, დაწყებულია ობსერვატორიის რეაბილიტაცია და სულ მალე გვექნება მსოფლიო დონის ასტროფიზიკური სამეცნიერო ცენტრი. თუმცა, სახელმწიფოსაც სჭირდება თანადგომა და ვინაიდან, მაქვს საშუალება და სურვილი, ვცდილობ, შევუმსუბუქო მას ტვირთი და სამედიცინო თუ სხვა, საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურის მშენებლობას და აღჭურვას, აბასთუმანში, პირადი სახსრებით ვახორციელებ.

მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ წყალტუბოს აქვს ყველა, და შესაძლოა, მეტი პოტენციალი, უახლოეს წლებში გადაიქცეს რეგიონის ჯანმრთელობის და ტურიზმის დედაქალაქად და ის აუცილებლად გახდება ასეთი.

მე გადავწყვიტე, გამოვისყიდო უკლებლივ ყველა, 22 სასტუმრო, 9 აბანო და მოვახდინო მათი სრული რეაბილიტაცია, კურორტის განვითარების ერთიანი გეგმისა და კონცეფციის ფარგლებში.

ᲐᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡ – ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ, ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲐᲠᲔᲑᲐ, ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲔᲥᲡᲞᲚᲣᲐᲢᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲨᲕᲔᲑᲐ, ᲒᲐᲕᲐᲡᲮᲕᲘᲡᲝ ᲔᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲗᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲘᲠᲔᲑᲐ. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ, ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲛᲔ ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠ, ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲪᲔ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ.

ამ ნაბიჯით მსურს, ერთი მხრივ, მივცე სიმყარე ბიზნესს, რათა ის ნებისმიერ ეტაპზე შემოუერთდეს პროექტს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მივცე სტიმული, გარანტირებული ინვესტიციის პირობებში, მაქსიმალურად განავითაროს ინფრასტრუქტურა.

წყალტუბოს განვითარების ხედვა და კონცეფცია, რომლითაც ვაპირებ ვიხელმძღვანელო, ეყრდნობა წამყვანი შვეიცარიული საკონსულტაციო კომპანიის, „KohL&Partners“ მიერ შემუშავებულ გეგმას, რომლის ფარგლებში, წყალტუბოში დამატებით უნდა აშენდეს ბავშვთა მოედნები, წყლის პარკი, ტროპიკული ბაღი, გოლფის და ჩოგბურთის მოედნები, კლდეზე ცოცვის პარკი, სავაჭრო ცენტრი, კაფე-ბარები და რესტორნები. იმავდროულად, დაგეგმილია საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა პროფილურ სპეციალობებში ჩვენი თანამოქალაქეების გადასამზადებლად – რამდენიმე ათას სამუშაო ადგილს, რომელიც წყალტუბოში უახლოეს პერიოდში შეიქმნება, კვალიფიციური კადრები დასჭირდება და ჩვენ მათი მომზადება უნდა უზრუნველვყოთ.

უდავოა, წყალტუბოს განვითარებით სარგებელს მიიღებს არა მარტო იმერეთის რეგიონი, არამედ რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, ხოლო რაჭის ახალი გზის დასრულების შემდეგ, ეს კიდევ უფრო გააადვილებს ტურისტებისთვის მარშრუტების დაგეგმვას ამ მიმართულებით.

წყალტუბოს გარშემო მდებარეობს ჩვენი ისტორიულ-კულტურული და ტურისტული მარგალიტები: გელათი, მოწამეთა, კაცხის სვეტი, პრომეთეს მღვიმე, სათაფლია, ოკაცეს კანიონი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გეგმის ხორცშესხმის კვალდაკვალ, ტურისტული ნაკადები ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვნად გაიზრდება.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ წლების განმავლობაში, ფონდი „ქართუ“ ეხმარება სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობის აღდგენასა და ტურისტული ობიექტების რეაბილიტაციაში, მაგრამ მთელი რეგიონის გამოცოცხლებას, მის ნახტომისებურ განვითარებას მეტი ბიძგი სჭირდება, სწორედ ამ ბიძგის მიმცემი გახდება წყალტუბოს აღორძინების პროექტი.

წყალტუბოს სიახლოვეს, ქუთაისთან განთავსებულია ორი თავისუფალი ეკონომიკური ზონა, აეროპორტი, დაგეგმილია სოფლის მეურნეობის ჰაბის მშენებლობა, რაც ასევე ხელს შეუწყობს ბიზნესისა და ტურისტების მოზიდვას.

ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲐᲓ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ-ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲫᲪᲔᲕᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲓ.

ჩემი გეგმის მიხედვით, წყალტუბო, უახლოეს წლებში, შესაძლებელია, გახდეს აღმოსავლეთ ევროპის უმნიშვნელოვანესი მიზიდულობის ადგილი და კონკურენცია გაუწიოს დიდ მოთამაშეებს ცენტრალურ ევროპაში.

სანატორიუმების რეაბილიტაცია წყალტუბოში, მინიმუმ რვა ათას ადამიანს დაასაქმებს. მათი აღდგენის შედეგად, წელიწადში საშუალოდ ექვსასიდან რვაას ათასამდე ტურისტის მიღების შესაძლებლობა გვექნება, რომ არაფერი ვთქვათ იმ თანამდევ მცირე ბიზნესების განვითარებაზე, რაც მოყვება კურორტის აღდგენას.

წყალტუბოს განვითარება იქ მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციის გარეშე წარმოუდგენელია. გარდა იმისა, რომ უკვე დაწყებულია სამუშაოები სანატორიუმებში მცხოვრები ოჯახების შესაბამისი, ღირსეული საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად, მათ ასევე გაუჩნდებათ დასაქმების ახალი წყარო და პერსპექტივა.

საბოლოო ჯამში, რეგიონში დასაქმდება 15 000-20 000 ადამიანი, რაც უპირობოდ გამოიწვევს მთელი იმერეთის მხარის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და აღმავლობას.

და ბოლოს, რატომ გამიჩნდა სურვილი და მოთხოვნილება, ასე საჯაროდ და დეტალურად მესაუბრა წყალტუბოს განვითარების პროექტზე? პირველ რიგში იმიტომ, რომ ქართულ ბიზნესს პირადად ჩემგან მოესმინა, რას ვგეგმავ და როგორი ფორმით ვთავაზობ მათ თანამშრომლობას. იმავდროულად, ვიცი, ამ საქმეს გამოუჩნდებიან მძაფრი ოპონენტები. სამწუხაროდ, თეთრის შავად და შენების ნგრევად გამოცხადება, ჩვენს ქვეყანაში ბევრს დღემდე ეფექტურად გამოსდის, ამიტომ საზოგადოების სწორი და დროული ინფორმირება აუცილებლად ჩავთვალე. დარწმუნებული ვარ, ინფორმირებული საზოგადოება სწორ დასკვნებს გამოიტანს...

„მერიდიან კაპიტალს“ ანაკლიის პორტის პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა არ გააჩნია

MERIDIAN CAPITAL NL B.V-მა დაადასტურა, რომ მოცემულ ეტაპზე არ გააჩნია ანაკლიის პორტის პროექტში ინვესტორის სახით მონაწილეობის შესაძლებლობა. ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

სამინისტროს ინფორმაციით, ამერიკული კომპანია Conti International-ის მიერ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტიდან გასვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა საქართველოს მთავრობას შესათანხმებლად წარუდგინა კომპანია Meridian Capital NL B.V.

„Conti International-ის ჩამნაცვლებელი ახალი ინვესტორის მოწონების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა საინვესტიციო ხელშეკრულებით განისაზღვრა მიმდინარე წლის 29 ოქტომბრით.

2019 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილობით მიმართა Meridian Capital NL B.V-ის წარმომადგენელმა, რომელმაც დაადასტურა, რომ Meridian Capital NL B.V-ს მოცემულ ეტაპზე არ გააჩნია ანაკლიის პორტის პროექტში ინვესტორის სახით მონაწილეობის შესაძლებლობა, რისთვისაც ითხოვა საქართველოს მთავრობისგან Meridian Capital NL B.V-ის მოწონების თაობაზე ყველა მიმდინარე პროცედურის შეჩერება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ითვალისწინებს Meridian Capital NL B.V-ის თხოვნას და გამოთქვამს მზადყოფნას, მომავალშიც ხელი შეუწყოს სათანადო გამოცდილების, ფინანსური და საქმიანი რეპუტაციის მქონე ყველა ინვესტორს მიიღოს მონაწილეობა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარების პროექტში“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ხელისუფლება დიდი ჰესების მშენებლობას იწყებს. მთავრობის წარმომადგენლებმა ჰესების მშენებლობის აუცილებლობის შესახებ ისაუბრეს და განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში დიდი ჰესები არ აშენდება, ელექტროენერგიის ტარიფები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე „2020NEWS“-თან აცხადებს, რომ დიდი ჰესების მშენებლობა კორუფციულ გარიგებებს უკავშირდება. ამასთან, როგორც გიორხელიძე გვეუნება, საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობის აუცილებლობა არ არსებობს.

„ენერგეტიკისა და ეკონომიკის განვითარება ერთმანეთთან უნდა იყოს მიბმული. ფულის კეთების მიზნით ვიღაცამ ჰესები ააშენოს და მერე ელექტროენერგია თურქეთში გაიტანოს, არ არის სწორი. იმ შემთხვევაში, თუ კაშხალური ჰესების მშენებლობაზეა საუბარი, ამის დაშვება უბრალოდ არ შეიძლება.

სამწუხაროდ, ენერგეტიკოსებშიც არიან არაკეთილსინდისირი ადამიანები, რომელებიც ლობირებენ ჰესების მშენებლობას, რაც არის პროფესიული უპასუხისმგებლობა.

იმ თემით შანტაჟი, რომ თუ ჰესები არ აშენდება, მაშინ ელექტროენერგიის ტარიფი გაიზრდება, არასწორია. თუ ჰესები არ აშენდება, ტარიფები ისედაც გაიზრდება. ჰესების მშენებლობაში იკვეთება კერძო ინტერესები, რასაც ხელისუფლება დიდი ხანია, ლობირებს. თავად ვიყავი მონაწილე იმ კონცეფციისა, რომელიც საქართველოში ენერგეტიკის განვითარებას ეხება.

არაერთ ენერგეტიკოსს ვიცნობ, რომელიც უბრალოდ პროფესიული თვალსაზრისით უპასუხისმგებლოა და გარკვეული გავლენის ჯგუფებს ლობირებს“, — განცხადა დემურ გიორხელიძემ.

ახალგორის ოკუპირებულ რაიონში შიმშილი დაიწყო!

ახალგორის ოკუპირებულ რაიონში მოსახლეობის ნაწილი უკვე შიმშილის ზღვარზეა, — ამის შესახებ ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი იუწყება.

„ჩვენს გვერდით ადამიანები შიმშილობენ. იმისთვის, რომ ცხელი სადილი ჰქონდეთ, ზოგიერთები საავადმყოფოებში წვებიან. მარტოხელა მოხუცებს, რომელთა ერთადერთი შემოსავალი ქართული პენსია იყო, ეს წყარო ამოეწურათ. თანაც კვირის სამყოფ საკვებს მათ ან ოჯახის წევრები უგზავნიდნენ, ან თავად მიდიოდნენ (საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადადიოდნენ). ახლა ეს ადამიანები სრულ იზოლაციაში არიან. დღეს გავიგე, რომ ადგილობრივებმა მათთვის საკვების შეგროვება დაიწყეს“, — იუწყება თამარ მეარაყიშვილი.

ცნობისთვის: გადასასვლელების ჩაკეტვას ოსური მხარე ქართული საპოლიციო საგუშაგოს წნელისში გახსნას უკავშირებს და მის დემონტაჟს მოითხოვს. მათ შორის აღნიშნულ საკითხზე გამართული რიგით მეექვსე შეხვედრა ერგნეთში უშედეგოდ დასრულდა. მხარეები მხოლოდ დიალოგის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ.

აღსანიშნავია, რომ 28 ოქტომბერს, დილით ცხინვალის რეანიმაციაში ახალგორელი მარგო მარტიაშვილი ინსულტით გარდაიცვალა. ის 70 წელს იყო გადაცილებული. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც თბილისში სამკურნალოდ დე ფაქტო საზღვარზე არგადაშვებამ პაციენტის სიკვდილი გამოიწვია. წნელისის საგუშაგოს განთავსების შემდეგ ახალგორებლებისთვის თბილისის კლინიკაში ჰოსპიტალიზაცია მხოლოდ „წითელი ჯვრის“ ხაზით დე ფაქტო ხელისუფლებასთან შეთანხმებით გახდა შესაძლებელი, თუმცა ამ ბიუროკრატიულ პროცედურას სულ მცირე, 10 დღე მაინც მიაქვს.

...მოიძებნებიან ღირსეული ინვესტორები, რომლებიც შეკრავენ ანაკლიის პორტის პროექტს

ანაკლიის **პორტის პროექტი საკმაოდ მიმზიდველია, მათ შორის კომერციულადაც, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ გუშინ განაცხადა.**

მისი თქმით, საქართველოში ბოლო წლებში საკონტეინერო ტვირთები ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება.

„წელს არის რეკორდული, 40-პროცენტიანი ზრდა კონტეინერების გადაზიდვებში. აქედან გამომდინარე, პროექტის მიმზიდველობა ეჭვქვეშ არ დგას. გარდა ამისა, ეს სტრატეგიული პროექტია და სახელმწიფომ ძალიან ბევრი რამ აიღო თავის თავზე, რომ პროექტი კიდევ უფრო მიმზიდველი და ნაკლებრისკიანი იყოს ინვესტორებისთვის“, — განაცხადა მინისტრმა.

თურნავა დარწმუნებულია, რომ მოიძებნებიან ღირსეული ინვესტორები, რომლებიც პროექტს დააფინანსებენ.

„დარწმუნებული ვარ, რომ მოიძებნებიან ღირსეული ინვესტორები, რომლებიც შეკრავენ ამ პროექტის დაფინანსებას. ჩვენთვის ეს პროექტი არის სტრატეგიული და მას საფრთხე არ ემუქრება. კონსტიტუციით არის ცნობილი, როგორც სტრატეგიული პროექტი. ჩვენ ასეთი უპრეცედენტო მხარდაჭერა სხვა პროექტის მიმართ არ გამოგვიხატავს. აქედან გამომდინარე, ვერ ვხედავ, რომ აღნიშნული პროექტი საფრთხის ქვეშ დგებოდეს“, — განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.

აჭარის 2020 წლის ბიუჯეტი 11 პროცენტით იზრდება

აჭარის 2020 წლის ბიუჯეტი 11 პროცენტით იზრდება და 290 მილიონ ლარს მიაღწევს. ამის შესახებ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა კანონის პროექტის პრეზენტაციისას განაცხადეს.

„ეს იქნება აჭარის მოსახლეობის კეთილდღეობის ბიუჯეტი“, — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ. მისივე განცხადებით, ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით შემუშავდა და ბოლო თვეების განმავლობაში მოსახლეობასთან ინტენსიური შეხვედრების შემდეგ, სწორედ მათი ინტერესები აისახა საფინანსო კანონში.

აჭარის მომავალი წლის ბიუჯეტის 63 პროცენტი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯება. გათვალისწინებულია გზების, სკოლების სპორტული დარბაზების მშენებლობა. ე.წ. ოცნების ქალაქში კორპუსების მშენებლობისთვის 13 მილიონი ლარია გათვალისწინებული. 18 პროცენტით იზრდება ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება. იზრდება ჯანდაცვის პროგრამების წილიც. 18 წლამდე მოზარდების ონკოლოგიური დაავადებების საზღვარგარეთ მკურნალობისთვის პაციენტს სამინისტრო 100-დან 220 ათასამდე ლარს გამოუყოფს. 100 ათასი ლარით დააფინანსებენ პაციენტს, რომელსაც ღვიძლის ტრანსპლანტაცია ესაჭიროება. ამასთან, მომავალ წელს 13 მილიონი იქნება გათვალისწინებული ხულო-ზარზმის გზის, რესპუბლიკური საავადმყოფოს აღჭურვაზე. წელს პირველად, გოდერძის უღელტეხილზე იქნება ბუნებრივი აირი, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში 100 მილიონ ევროზე მეტი დაიხარჯება წყლისა და წყალარინების სისტემების მოწყობისთვის. ამასთან, აჭარის განათლების სამინისტრო 60 სტუდენტს დაუფინანსებს საზღვარგარეთ სწავლას. იგეგმება 11 ახალი სკოლის მშენებლობა და 23-ის რეაბილიტაცია. დაგეგმილია სპორტული კომპლექსის მშენებლობა ჩაქვში, სამუსიკო და სასპორტო სკოლების პედაგოგებს აჭარის ბიუჯეტიდან გაეზრდებათ ხელფასი.

„საპატრიარქო ტახტისკენ თვალი იაკობსაც ხომ არ უჭირავს?!“

სკანდალური განცხადებების შემდეგ, ბოდბელი ეპისკოპოსი მეუფე იაკობი პატრიარქის ქორეპისკოპოსის თანამდებობას ტოვებს, თუმცა რჩება ეპარქიაში. მეუფე იაკობმა უწმინდესს თავად მიმართა გადადგომის მოთხოვნით. როგორც ბოდბელმა ეპისკოპოსმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საპატრიარქოში მოსული იყო სპეციალურად, რათა უწმინდესი ენახა და მისი გადაწყვეტილების შესახებ ესაუბრა.

მეუფე იაკობი აცხადებს, რომ მისი სიტყვები უკან არ მიაქვს და ამბობს, რომ, როგორც მონაზონს გულში ჰქონდა ხინჯი, ახლა კი თავისუფალი ადამიანია და ყველაფერი თქვა. შეგახსენებთ, რომ ბოდბელი ეპისკოპოსის, მეუფე იაკობის მიერ გაკეთებული განცხადებით, **გიორგი კვირიკაშვილი, გიორგი გახარია** და **ვახტანგ გომელაური** მას პატრიარქის გადაყენებაში დახმარებას სთხოვდნენ. ამასთან, მეუფე იაკობმა აღნიშნა: „ვისაც საგინებელი აქვს, არა მარტო ვაგინებ, დედებს მოვუკითხავ ყველას. ყველასთან ცდილობენ თანამშრომლობას. ჩემთან ვერ ეცდებიან იმიტომ, რომ მაპატიეთ და მკიდია, ბიძინათი დაწყებული ყველათი დამთავრებული“.

სკანდალურ ბრალდებას, რომ პატრიარქის გადაყენების სცენარში მონაწილეობდა, არ ადასტურებს პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია,** რომლის განცხადებით, პატრიარქი ბოლო 40 წლის განმავლობაში არის ამ ქვეყნის წარსულის სიმბოლო, დღევანდელი დღის სიმბოლო და მომავლის სიმბოლო. როგორც გახარია ამბობს, ეკლესია არის ის შემაერთებელი ძალა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებრიობას კრავს.

„ამის შესახებ პირველად გავიგე და შოკირებული ვარ. მაგრამ შემდეგ მახსენდება, რომ ეს ის მეუფეა, რომელიც იძახდა, გახარია პრემიერი თუ გახდა, ჩამოვაგდებო. თუ რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს, თვითონ მეუფეს მიმართეთ, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ — მსგავსი სისულელეები უკვე საზღვარს გადასცდა.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიმეცნოთ — მეწაღემ წაღები უნდა შეკეროს, ბანკირმა ბანკს უნდა მიხედოს, მეპურემ პური უნდა გამოაცხოს, მეუფემ ეკლესიაში უნდა იაროს და პოლიტიკას ყველამ თავი უნდა დაანებოს“, — განაცხადა **გიორგი გახარიამ.**

ამ განცხადებას იზიარებს ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე,** რომლის თქმითაც, ერთი მხრივ, ეს არის მეუფე შიოს გავლენების შესუსტების მცდელობა. ასევე, იგი არ გამორიცხავს, რომ თვითონ მეუფე იაკობი არის ჩართული პოლიტიკურ დაპირისპირებაში, რომელსაც რომელიღაც მხარე უკავია.

„თუმცა ვიმეორებ, ადრე მკაფიო იყო მისი პოლიტიკური პოზიცია, საერთოდ გაუგებარია ამჟამად რას აკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ სკანდალური განცხადებები ხშირად ჰქონია, მის გარშემო სკანდალი ხშირად მომხდარა. ვითარება არის რთული, ისევე, როგორც თავად ეს საკითხი. ჩავთვალოთ, რომ მეუფე ამბობს სიმართლეს, მაშინ საერთოდ გაუგებარია პატრიარქთან დაპირისპირება მეუფე შიოს სახელით.

ეს ალოგიკურობა გაფიქრებინებს, რომ არ არის საქმე ისე, როგორც მეუფე იაკობი აცხადებს. გამორიცხული არ არის, რომ ეს იყოს მეუფე შიოს ბოსტანში ნასროლი ქვა. სავარაუდოა, რომ საპატრიარქო ტახტისკენ თვალი იაკობსაც უჭირავს, ანუ სამოქალაქო პოლიტიკა არაფერ შუაშია, მაგრამ საეკლესიო პოლიტიკა, ალბათ, არის“, — აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

for.ge-სთან საუბრისას პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ე.წ. შეთქმულებაში მონაწილეთა კონფიგურაციაც არადამაჯერებელია. მისი თქმით, თუკი პატრიარქის გადაყენება უნდოდათ, სავარაუდოა, რომ საეკლესიო კანონებში ჩაიხედავდნენ, მაგრამ რატომ უნდა ნდომოდათ უწმინდესის გადაყენება, ეს არის გაურკვეველი.

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** შეფასებით, ძალიან ცუდია, როდესაც პოლიტიკა შედის ეკლესიაში და პირიქით, ეკლესიური და სარწმუნოებრივი საკითხები შემოდის პოლიტიკაში, რაც დამამძიმებელია პოლიტიკის, საზოგადოებისა და, უპირველესად, ეკლესიისთვის.

„ასეც რომ მომხდარიყო, ეს ტელევიზიით სასაუბრო თემა არ არის. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ კონტექსტი უფრო დაამძიმა მეუფე იაკობმა. შეიძლება საუბარი იყო მსგავს საკითხზე და არა უწმინდესის გადაყენებაზე, არამედ იმაზე, რომ მეუფე შიომ შეასრულოს პატრიარქის მოვალეობები და პატრიარქმა დაისვენოს, შეიძლება ასეთი შინაარსის საუბარი იყო. ასეც რომ მომხდარიყო, ასეთი ანტისამთავრობო გამოსვლა და ასეთი ძალიან მძიმე ბრალდება, რასაკვირველია, მძიმე ფაქტზე მიანიშნებს, კერძოდ იმაზე, რომ ყველა ხიდები დამწვარია“, — ამბობს for.ge-სთან საუბრისას დავით ზარდიაშვილი.

„მეუფე იაკობი გამოირჩევა ასეთი განცხადებებით, მაგრამ ახლა ზღვარს გადავიდა. ეს არის პირდაპირი შეტევა მთავრობაზე და ხელისუფლებაზე. თუ ხელისუფლებამ მსგავსი ნაბიჯი გადადა და კონკრეტულ მეუფეებთან განიხილა პატრიარქის გადაყენების საკითხი, ეს არის მძიმე ფაქტი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ კონტექსტი, რა და როგორ ითქვა. ინფორმაციის გარეშე ძნელია განსჯა.

ფაქტია, რომ მეუფე იაკობმა ეს შეხვედრა გამოიყენა მთავრობის წინააღმდეგ. როდესაც ტელევიზიით გამოდის ამხელა იერარქიის წარმომადგენელი და ღიად უტევს მთავრობას, ეს მიანიშნებს, რომ მთავრობასთან ურთიერთობის სხვა რესურსი ამოწურულია, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ღია კონფლიქტია ეკლესიის ასეთ იარარქიასა და მთავრობას შორის, რაც აზიანებს როგორც სახელმწიფოს, ისე ეკლესიას. რაღაცნაირად ეს ვითარება უნდა განიმუხტოს“, — აცხადებს **დავით ზარდიაშვილი.**

თეოლოგ **ლევან აბაშიძის** შეფასებით, **გადადგომის მერე მეუფე იაკობის გავლენა, სავარაუდოდ, შემცირდება, თუმცა ამბობს, რომ უშუალოდ საპატრიარქოში არსებული სიტუაცია მძიმეა. მეუფე იაკობი ბრალს სდებს სახელმწიფოს ლიდერებსა და ასევე, სხვა მღვდელმთავრებს. ერთი ბრალდებაა, რომ სახელმწიფო უხეშად ცდილობდა, ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში. მეორეა, თითქოს მზადდებოდა მკვლელობა. მეორე მხარე ამას უარყოფს. ცხადია, შეუძლებელია ორივე მხარე იყოს სწორი. ეს ძალიან მძიმე ცოდვაა. ვერ გეტყვით, რომელი მხარეა სწორი. არც ვარაუდის გამოთქმა მინდა, მაგრამ ან მართლა მზადდებოდა მკვლელობა, რაც უმძიმესი ცოდვაა, ამაზე ფიქრიც კი, არათუ მომზადება, ანდა არის ასევე უმძიმესი ცოდვა — ეს არის ცილისწამება. ამიტომ, ეს საკითხი რაღაცნაირად უნდა გადაწყდეს. მე არ ვიცი, როგორ გადაწყდება, როდის და რა სახით, მაგრამ ვამბობ, რომ სიტუაცია არის საკმაოდ მძიმე“,** — აღნიშნა **ლევან აბაშიძემ.**

თეოლოგი **ვაჟა ვარდიძე** ფიქრობს, რომ **საპატრიარქოში მიმდინარე პროცესები თეოლოგიასთან არავითარ კავშირშია და შიდა ინტრიგებს მიეკუთვნება. „დაძაბულობა რომ არის საპატრიარქოში, ბოლო დღეები სწორედ ამაზე მეტყველებს. ეს ისეთი საკითხებია, აქ თეოლოგს ბევრი სალაპარაკო არაფერი აქვს. აქ სჯობს, კომენტარი პოლიტიკოსებმა გააკეთონ, იმათ, ვინც საკითხებშია ჩართული. აქ თეოლოგი კომპეტენტურს ვერაფერს იტყვის. ეს არის ჩვეულებრივი შიდა ინტრიგები, თუ არ ვიცი, რა დავარქვა — ეკლესიოლოგიური თემა არ არის“.**

მარიკა ლაბაძე



ირაკლი ოქრუაშვილმა ადვოკატები აიცილა

20-21 ივნისს მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულმა, „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა ადვოკატები აიცილა.

საკუთარი ადვოკატების აცილების შუამდგომლობა ირაკლი ოქრუაშვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოში წერილობით წარადგინა და პირადად პროცესს არ ესწრებოდა. მოსამართლემ ოქრუაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატი ჩაერთვება. მოსამართლის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებაში წერია, რომ ის ახალი ადვოკატის ასაყვანად პროცესში მონაწილეობას და ახალ ადვოკატთან კომუნიკაციას სასულიერო პირის მეშვეობით ითხოვს.

„გთხოვთ, გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პროკურატურისგან გარე სამყაროსთან კომუნიკაცია აკრძალული მაქვს. შესაბამისად, ახალი ადვოკატის ასაყვანად კომუნიკაცია უკეთეს შემთხვევაში შესაძლოა, ახლო მომავალში თეორიულად შევძლო ჩემთან შემოსული სასულიერო პირის მეშვეობით. ისიც იმ შემთხვევაში, თუკი, ასეთი იარსებებს“, — ნათქვამია ოქრუაშვილის განცხადებაში“.

ტვინცარიელი „შმაქსისტები“ პატრულის მიერ გამოწერილი ჯარიმების გაუქმებას ითხოვენ!

პარტია „გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ შინაგან საქმეთა სამინისტროში განცხადება შეიტანა. ჯაფარიძე შს მინისტრ ვახტანგ გომელაურს განცხადებით მოუწოდებს, „შეწყდეს „შმაქსისტების“ უკანონო დევნა“ და გაუქმდეს ჯარიმები, რომელიც „შმაქსის“ მძღოლებს საპატრულო პოლიციამ გამოუწერა.

ზურაბ ჯაფარიძე შსს-ში „შმაქსის“ მძღოლებთან ერთად მივიდა. მანამდე მძღოლები და პარტიის წევრები აქციაზე პირველი რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბნენ, საიდანაც მსვლელობით შსს-სკენ გადაინაცვლეს. „გირჩი“ და „შმაქსის“ მძღოლები არ გამორიცხავენ, რომ აქცია ტაქსების რეფორმის გაუქმების მოთხოვნით თბილისის მერიასთანაც გაიმართოს.

უაქციზო თამბაქოს შენახვა-გადაზიდვის ოთხი ფაქტი გამოავლინეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ოთხი ფაქტი გამოავლინეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ თბილისში და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, დანაშაულში მხილებული პირებისაგან ამოღებულია ე.წ. ელექტროსიგარეტის **IQOS**-ისთვის განკუთვნილი „**HEETS**“- ის ფირმის 23 550 ლარის ღირებულების 3 925 კოლოფი უაქციზო თამბაქოს ნაწარმი.

რთველი, იცოცხლეთ, ბარაქიანი გვქონდა, მაგრამ...



წლევანდელმა **რთველმა ისე ჩაიარა, რომ კახეთში ჩასვლა ვერ მოვახერხე და მხოლოდ ნამაჭრევსლა ვეწვიე მშობლიურ მხარეს.**

— აბა მითხარით, წლევანდელი მოსავლით კმაყოფილი ხართ, რთველი ხომ გქონდათ ბარაქიანი? — ვეკითხები თანასოფლელებს.

— რთველი, იცოცხლეთ, მართლაც ბარაქიანი გვქონდა, მაგრამ შემოსავალზე რა მოგახსენოთ, — მითხრეს ცხვირჩამოშვებულებმა.

— რატომ, ხალხო, — გავიკვირვე, — კარგ მოსავალს ხომ კარგი შემოსავალიც უნდა მოეტანა?

— იმიტომ ჩვენო ქალაქელო ჟურნალისტო, რომ ყურძენმა ვერა და ვერ დაიდო მისთვის შესაფერისი ფასი. დღეს რაც ვაზის მოვლა-პატრონობაზე ოფლსა ვღვრით და შხამქიმიკატების შეძენაზე ფულს ვხარჯავთ, ხშირად მოსავალი იმის საფასურსაც ვერ ანაზღაურებს.

— მერე ამაში ვის ადანაშაულებთ, მთავრობას თუ ბაზრის მაზანდას?

— მთავრობა, როგორც წესი, ყოველთვის თავს იძვრენს — ყურძნის ფასს ბაზარი არეგულირებს და ჩვენ ვერ ჩავერევითო. იქით კიდევ ღვინის ქარხნები წუწუნებენ — შარშანდელი ღვინოებიც გაუსაღებელი დაგვრჩა, რასაც გაძლევთ ან ამ ფასად მოგვეცით ყურძენი, ან საერთოდ არ ჩავიბარებთო. ჰოდა, ჩვენც იძულებული ვართ, ყურძენი ჩალის ფასად გადავყაროთ.

— მერე ეგ ღვინო სად წავიღოთ? ღვინის ბაზარი მთლიანად ღვინის საწარმოების ხელშია და ჩვენ იქ ცხვირს არავინ შეგვაყოფინებს. როგორც იტყვიან, თხასავით გამოჭერილები ვყავართ, ყურძენი ან ღვინის ქარხანას უნდა ჩავაბაროთ, ან საერთოდ, ხახამშრალი დავრჩეთ.

— გამოსავალს რაში ხედავთ? — ვეკითხები.

— კეთილი ინებოს და ხელისუფლებამ იპოვოს გამოსავალი, თორემ გლეხკაცმა თუ შვილივით ნაზარდ ვაზზე გული აიცრუა, ვენახი აჩეხა და მის ადგილზე ატმის ბაღები გააშენა, ქვეყნის მცონარა ეკონომიკა კიდევ უფრო დაუძლურდება და საქართველო ვაზის სამშობლოდ აღიარებულ პრესტიჟსაც საბოლოოდ გამოეთხოვება.

ირგვლივ დუმილმა დაისადგურა...

ეს ჩვენი იუდა ნაცები თურმე დემოკრატიამ არ გაღაარჩინა?!

— ნუ გეშინიათ, ძმებო, — დაარღვია სიჩუმე ულვაშა მევენახემ, — სააკაშვილი მაგრად გვყავდეს და ცოცხალი თავით ჩვენი მარჩენალი ვაზის გადაშენებას არ დაუშვებს.

— ჰო, აკი ემუქრება კიდეც ამ მთავრობას — მალე ხელისუფლებაში მოვბრუნდები და ყოფას გიტირებთო. არ იფიქროთ, თქვენსავით დედლურად მოვიქცევი, ჩემი აშენებული ქვეყნის დანგრევისთვის პასუხს გაგებინებთ, საჯაროდ გაგასამართლებთ და ყველას ციხეში გამოგალპობთო.

— იზამს კიდეც, ეგ დამთხვეული ყველაფრის მკადრებელია. კიდევ კარგი, მაგ ძაღლთაპირებს შორის ერთი ღვთისნიერი კაცი მაინც გამოერია, თორემ ქვეყანა მართლა თავზე დაგვექცეოდა.

— ვისზე ლაპარაკობ, გაიძვერა და თახსირ ბოკერიაზე? — წამოექაჩნენ მოსაუბრეს აქეთ-იქიდან.

— ჰო, ბოკერიაზე, ამბობს — ჩვენ ევროპული ყაიდის ნაცები ვართ და არა მიშასნაირი სისხლისმსმელები, რომ ვინმეზე შური ვიძიოთო. მეოცნებე ივანიშვილებს პოლიტიკურ სანაგვეზე ისე მშვიდობიანად მოვისვრით, რომ თავადვე ნასიამოვნები დარჩებიანო.

— და შენც გჯერა მაგ თაღლითი, ბანალური ხაზინის ქურდი ბოკერიასი?! განა ეგ არ იყო, უშიშროების საბჭოს მდივნობის პერიოდში სარეზერვო ფონდიდან მოპარული ათეულობით მილიონი ლარი რომ შეათქლაფუნა?! ამ მთავრობამ ვერ ივარგა, თორემ თავის დროზე ეგ ავაზაკები ციხეში რომ გამოემწყვდია, უკან მობრუნებაზე ვეღარ იოცნებებდნენ.

— არა, ამას ვერ ვიზამდითო, ხო გვითხრა მთავარი პროკურორის მაშინდელმა მოადგილემ, ბატონმა ნაცვლიშვილმა ტელეეთერით გამოსვლისას?!

— რატომაო, ვითომ ხელს რა გვიშლიდაო? — დაინტერესდნენ მოკამათენი.

— დემოკრატიას ვერ ვუღალატებდით და იმიტომაო. სწორედაც მოვიქეცით, რომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ინტერესი მაგათი დასჯის ინტერესს არ გადავაყოლეთო.

კახელებმა ეს ამბავი რომ გააცნობიერეს, თავი უხერხულად იგრძნეს — აბა, უყურეთ, ხელისუფლებას ნაცბანდის დაუსჯელობით რამხელა სიკეთე გაუკეთებია, ჩვენი სანუკვარი დემოკრატია გადაურჩენია, ჩვენ კი ხელისუფლებას ქოქოლას ვაყრიდითო. იქვე გერმანელები შეიბრალეს, — თავის დროზე კაციჭამია ფაშისტებისთვის ნიურნბერგის სასამართლო პროცესი რომ არ მოეწყოთ, ახლა ჩვენზე გაცილებით მეტი დემოკრატია ექნებოდათო(?!)

ეს ისე, ხუმრობით (კახელებს იუმორის გრძნობა არ აკლიათ), თორემ, მშვენივრად უწყიან, რომ ხელისუფლება არ არის მართალი, როცა დემოკრატიის ნიღაბაფარებული დამნაშავე ნაცბანდის დაუსჯელობის გამართლებას ცდილობს. მათ მიაჩნიათ და სრულიად სამართლიანადაც, რომ დამნაშავის დაუსჯელობა თავად არის დიდი დანაშაული, რაშიც ღრმად დაგვარწმუნა ბოლო წლების გამოცდილებამ.

ცხადზე უცხადესია, რომ აბრეშუმის ჭუპრივით მცოცავი ეკონომიკა, სხვა მტკივნეული პრობლემები ისევე სტკივათ კახელებს, როგორც საქართველოს სხვა დანარჩენი რეგიონების მოსახლეობას. დღევანდელობა ყველასთვის ნათელია, მაგრამ კვლავაც შეძლებს თუ არა მეოცნებე ხელისუფლება სტატისტიკის მსუყე მონაცემებით მოსახლეობის დაპურებას, ამას არც თუ შორეული არჩევნების შედეგებით შევიტყობთ.

2020 წლის ოქტომბერიც ხომ თვალის დახამხამებაში „მოფრინდება“...

ოთარ ხუციშვილი

რაში დახარჯეს მერიებმა სარეზერვო ფონდების მილიონები?

2018 წელს საქართველოს 60-მა მუნიციპალიტეტმა სარეზერვო ფონდიდან 9 მილიონამდე (8 949 777) ლარი დახარჯა. მათგან ყველაზე მეტი ხარჯი — 2 747 100 ლარი თბილისის მერიას ჰქონდა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), რომელმაც ეს საკითხი მოიკვლია, მესტიის, წალენჯიხისა და თეთრიწყაროს რაიონებიდან პასუხი საერთოდ ვერ მიიღო. ჩოხატაურმა კი მხოლოდ იმ მიმართულებების ჩამონათვალი მოიწერა, რაზეც სარეზერვო ფონდის ფინანსები დაიხარჯა, თუმცა რამდენი — უცნობია.

მოწერილი პასუხებიდან ირკვევა, რომ 10-მა მუნიციპალიტეტმა დახარჯა ყველაზე მეტი თანხა — 60 მუნიციპალიტეტის მიერ დახარჯული საერთო თანხის 76%.

რისთვის რამდენი დაიხარჯა?

2018 **წელს** ფონდების ხარჯის 30%, 2 653 706 ლარი **ფინანსურ დახმარებას** მოხმარდა.

- 25% — 2 212 756 ლარი სტიქიასთან ან სხვა უბედური შემთხვევების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის დაიხარჯა.
- 17% წავიდა სამედიცინო ხარჯებზე.
- 8% — კაპიტალურ სამუშაოებზე.
- 3% — კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებზე.
- 1% — დაკრძალვის ხარჯებზე.
- 1% სხვა ხარჯებზე

საერთო ხარჯების 15%-ის მიზნობრიობა კი უცნობია.

რამდენი შეიძლება იყოს სარეზერვო ფონდი?

სარეზერვო ფონდი არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

IDFI-ში აცხადებენ, რომ დღეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა სარეზერვო ფონდების განკარგვასთან დაკავშირებულ წესებს არ მოიცავს. ეს კი ქმნის ფინანსების არამიზნობრივი გამოყენებისა და საბიუჯეტო სახსრების დაუსაბუთებელი ხარჯვის რისკებს.

რა საჯარო ინფორმაციას არ იძლევიან მერიები?

უცნობია, რაში დახარჯეს 1 367 811 ლარი შემდეგი ქალაქების მერიებმა:

1. ქუთაისის (554 038 ლარი);
2. ბორჯომის (477 910 ლარი);
3. ქობულეთის (105 385);
4. მარნეულის (99177 ლარი);
5. ლენტეხის (60 000 ლარი);
6. ცაგერის (41 700 ლარი)
7. ლანჩხუთის (29 600 ლარი).

მათ ეს ინფორმაცია არ გაასაჯაროვეს.

2018 წელს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია ე.წ. **კაპიტალური პროექტებიც**. თუმცა როგორც რადიო თავისუფლებას ინფორმაციის თავისუფლების განვითარების თანამშრომელი გოგა თუშურაშვილი ეუბნება, გაუგებარია, რატომ არ შევიდა ეს ხარჯები ძირითად ბიუჯეტში და რამ გამოიწვია სარეზერვო ფონდიდან მისი დაფინანსების აუცილებლობა.

მაგალითად, თბილისის მერიამ ვარდების მოედანზე განთავსებული 300 წლის ზეთისხილის ხის ირგვლივ არსებული ზღუდის რელიეფური ქვის კვადრატებით მოპირკეთების ხარჯების ასანაზღაურებლად გამოყო 155 360 ლარი.

დაუხარჯავი ფული

ზოგიერთმა მუნიციპალიტეტის მერიამ სარეზერვო ფონდის ფული საერთოდ ვერ დახარჯა — მაგალითად, **გორის, კასპის, ყაზბეგის, წალკის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების** მერიებმა ვერ გადაწყვიტეს, რაში დაეხარჯათ 280 ათას ლარი.

კითხვები IDFI-ს მკვლევრებს განსაკუთრებით გორის მერიის მისამართოთ გაუჩნდათ — რაიონში, სადაც ათასობით დევნილი ცხოვრობს, როგორ არ გაჩნდა საჭიროება, რომ მერია მათ თუნდაც ფინანსურად დახმარებოდა?

IDFI-ის თანამშრომელი გოგა თუშურაშვილი შენიშნავს, რომ დაგეგმილი ბიუჯეტის ნულოვანი შესრულება ამ პრობლემის მეორე უკიდურესობაა.

გოგა თუშურაშვილი იმასაც გვეუბნება, რომ სარეზერვო ფონდების ხარჯვისას შესყიდვები ტენდერის გარეშე, პირდაპირი წესით ხორციელდება, კანონმდებლობა არ აწესებს ისეთ შეზღუდვებს, რაც არსებობს სხვა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თვალსაზრისით, ამიტომ მეტი საფრთხე არსებობს თანხების არამიზნობრივად ხარჯვისა.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ყველა დანახარჯი იყოს გამჭვირვალე და საჯარო.

ეკა ძევანიშვილი

ერთი მხარდამჭერის იმედად დარჩენილი დარგი

უნიკალური თვისებების გამო ქართულმა რუხმა ფუტკარმა სახელი შორს გაითქვა, მაგრამ ტრადიციული მეფუტკრეობის დარგი ჩვენში ახლა ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაშია. სამამულო მეფუტკრეობის წინაშე ამჟამად მდგარ პრობლემებზე და საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის შეჭირვებულ ყოფაზე ჩვენი გაზეთი არცთუ დიდი ხნის წინათ, 2018 წლის 8 დეკემბერს წერდა სათაურით — „იმაზე კარგი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე და ღმერთს სანთელი...“, სადაც მკითხველს შევთავაზეთ ინტერვიუ მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტთან, ბატონ **რამაზ თავართქილაძესთან**. მაშინ მასთან რამდენიმე მნიშვნელოვან სამომავლო გეგმაზე გვქონდა საუბარი, რომელთა შორის მთავარი საქართველოს მეფუტკრეთა საერთაშორისო კავშირში — აპიმონდიაში გაწევრებასა და 2019 წლის სექტემბერში კანადის ქალაქ მონრეალში გასამართ კონგრესში მისი დელეგაციის მონაწილეობა იყო. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ახალი ამბების შესატყობად ისევ ბატონ რამაზს ვესტუმრეთ.

თუმცა, ვიდრე ბატონ რამაზ თავართქილაძესთან საუბრის შესახებ გიამბობდეთ, გვინდა აპიმონდიის გენერალური მდივნის, ბატონ **რიკარდო ჯანონი-სებასტიანის** სახელზე მისი სამადლობელი წერილის ამონარიდი შემოგთავაზოთ:

„მოგესალმებით, კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ საქართველოს მეფუტკრეების მხარდაჭერისთვის, რაც საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის აპიმონდიის სრულუფლებიან წევრად აღიარებაში გამოიხატა... აუცილებელია მსოფლიოს მიეწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში შინაურ მეფუტკრეობას არსებითი მნიშვნელობა აქვს და ის ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან იწყება. ამ პერიოდის მდგომარეობას ბიზანტიის მთავარსარდალი და ისტორიკოსი ქსენოფონტე თავის „ანაბაზისში“ ისე აღწერს, რომ კოლხეთში (საქართველოს დასავლეთ ნაწილში) ბევრი ფუტკარი იყო, რასაც ქართველები სამხედრო დანიშნულებითაც იყენებდნენ. პომპეუსის ჯარის შემოსევის დროს კოლხებმა იმ ადგილებში, სადაც მტრის მრავალრიცხოვან ჯარს უნდა დაესვენა, გზებზე მათრობელა თაფლით (იელის, შქერის) სავსე ჭურჭლები დაალაგეს. ჯარისკაცებმა „მირთმეული“ თაფლი პატივისცემად ჩათვალეს და სიამოვნებით დააგემოვნეს, რის შედეგადაც ისე გაბრუვდნენ, რომ ფეხზე ვერ დგებოდნენ. კოლხეთის ჯარმა ამით ისარგებლა და მომხდურები ადვილად დაამარცხეს.

ეს ისტორიული ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ ქართველები უძველესი დროიდან ფლობდნენ მეფუტკრეობის დარგს. ქართული ფუტკარი თავისი ნიშან-თვისებების — 7,2-მილიმეტრიანი გრძელი ხორთუმის, თვინიერების და მაღალი შრომისუნარიანობის გამო, სამი ოქროს მედლის მფლობელია.

...საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში წარმოებული სუროს თაფლი, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში იწარმოება, თავისი თვისებებით არ ჩამოუვარდება ახალი ზელანდიის „მანუკა“ თაფლს (აქვე აღვნიშნავთ, რომ ახალზელანდიური თაფლი მსოფლიოში №1 თაფლადაა მიჩნეული — **რედ**.).

— ბოლო წლებში საქართველოს მეფუტკრეობის დარგი მეტად მძიმე მდგომარეობაშია, რასაც თუნდაც ის გარემოება მოწმობს, რომ ხელისუფლების სათავეში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნის დროს ქვეყანაში მეფუტკრეობის ერთადერთი ინსტიტუტი გაუქმეს. ამავე პერიოდში შეაჩერეს „საქართველოს მეფუტკრეობის შესახებ კანონი“ და ჩვენი სოფლის მეურნეობის ეს უძველესი, უმნიშვნელოვანესი დარგი არსებობის საკანონმდებლო ბაზის გარეშე დარჩა. ამჟამად მეფუტკრეთა კავშირის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია დარგისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რა მიზნითაც საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტთან ერთად სათანადო დადგენილების კანონპროექტი გვაქვს შემუშავებული, — აღნიშნავს ბატონი რამაზ თავართქილაძე.

სასიხარულოა, რომ ბოლო ხანებში საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის ძალისხმევით, ამ სამამულო დარგმა მსოფლიოში სახელი გაითქვა და გარკვეული ავტორიტეტიც მოიპოვა. პირველ ყოვლისა, ამის დასტური ისაა, რომ 2019 წელს ჩვენი ორგანიზაცია 1878 წელს დაარსებული მეფუტკრეთა ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის — აპიმონდიის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

აი, რა შინაარსის წერილი მიიღო ამის თაობაზე საქართველოს მეფუტკრეთა კავშირმა:

„მოხარული ვართ, გაცნობოთ, რომ აპიმონდიის გენერალურმა საბჭომ კანადის ქალაქ მონრეალში 2019 წლის 9 სექტემბერს შემდგარ სხდომაზე ოფიციალურად დაამტკიცა თქვენი ასოციაციის ჩვენი ფედერაციის სრულუფლებიან წევრად მიღება.

ამ მოვლენის მილოცვასთან ერთად გვინდა, გაცნობოთ, რომ აპიმონდია მისი შესაძლებლობებით, არის თქვენს განკარგულებაში და მომავალში მაქსიმალურ თანამშრომლობას გთავაზობთ.

საუკეთესო სურვილებით, გულწრფელად თქვენი
რიკარდო ჯანონი-სებასტიანი,
აპიმონდიის გენერალური მდივანი“.

უნდა ითქვას, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აპიმონდია მეფუტკრეთა მსოფლიო კონგრესს მართავს, რომელთაგან საქართველოს მეფუტკრეთა კავშირიდან მე და ერთი ჩემი კოლეგა მხოლოდ ერთხელ, კიევში 2013 წელს გამართულ ფორუმს დავესწარით, ისიც, ამერიკის შეერთებული შტატების „ღია დემოკრატიის ფონდის“ პრეზიდენტის, ბატონ **ტომ როლანდის** ხარჯით, თუმცა კი შემდეგ სტამბოლში გამართულ კონგრესს უსახსრობის გამო ვეღარ დავესწარით. შარშან კი საქართველოს მეფუტკრეთა კავშირს აპიმონდიის პრეზიდენტმა, ბატონმა რიკარდო ჯანონი-სებასტიანიმ წერილი გამოგვიგზავნა, რომელშიც ნათქვამია:

„აპიმონდიის 46-ე საერთაშორისო მეფუტკრეობის კონგრესის გათვალისწინებით, რომელიც უნდა ჩატარდეს მონრეალში, კანადა, პერიოდი: 8-12 სექტემბერი, 2019, მოხარული ვართ, მოგიწვიოთ თქვენ და თქვენი პატივცემული კავშირის დელეგატები ღონისძიების სამუშაო სესიებში მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნული წერილი მოქმედებს როგორც ფორმალური წერილი თქვენთვის, რათა დაესწროთ ზემოაღნიშნულ ღონისძიებას საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტის კომპეტენციაში, რომელმაც ახლახან მოითხოვა ჩვენი ფედერაციის წევრ ასოციაციად გახდომა.

თქვენი დასწრება მნიშვნელოვანია, რადგან აპიმონდიის გენერალური ასამბლეის განმავლობაში დელეგატები ხმას მისცემენ საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის აპიმონდიაში გაწევრების ოფიციალურ დადასტურებას და შემდგომში თქვენი კავშირი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას შეხვედრების განხილვებისა და ხმის მიცემის პროცესში“.

მინდა გითხრათ, რომ მიწვევის მიღების დღიდან დავიწყე ზრუნვა კონგრესში მონაწილეობის მისაღებად მონრეალში გასამგზავრებლად საჭირო სახსრების მოსაზიდად. ამ მიზნით, საქმის არსის ახსნისა და დახმარების გაწევის მიზნით თხოვნის წერილებით მივმართე საქართველოს მაშინდელ პრემიერ-მინისტრს მამუკა ბახტაძეს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა სამინისტროების, ჩვენში მოქმედ ყველა კომერციული ბანკის, ნავთობის იმპორტიორი კომპანიების — „სოკარ-ჯორჯიას“, „ვისოლის“, „რომპეტროლის“, „გალფის“ და სხვა სააქციო საზოგადოებებს, საქართველოს ლუდის კომპანიის, „სარაჯიშვილის“, „ფუდმარტის“, „კოკა-კოლას“, „ავერსის“, პსპ-სა და სხვათა და სხვათა ხელმძღვანელობას, მაგრამ... უარის პასუხიც კი არავისგან მიმიღია...

ერთადერთი უწყება, რომელმაც ჩვენი მისწრაფება გაიზიარა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იყო, რომელმაც მონრეალში აპიმონდიის კონგრესზე შვიდკაციანი დელეგაცია გაგზავნა მინისტრის მოადგილის **ხატია წილოსანის** ხელმძღვანელობით. მეფუტკრეობის საერთაშორისო კონგრესისა და სიმპოზიუმის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე საქართველოს 18 კვადრატული მეტრის ფართობი ჰქონდა დაქირავებული, სადაც „დასავლეთ საქართველოს მეფუტკრეთა ალიანსის“ „ქართული ტრადიციული მეღვინეობის“, „ნენას“ და შპს „ფუტკრის“ პროდუქცია იყო წარმოდგენილი, რომელმაც მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. საქართველოს მეფუტკრეთა კავშირი კი დამსწრე 80-ზე მეტი ქვეყნის დელეგატებს შორის ვერ მოხვდა, რაც, სიმართლე გითხრათ, დიდად დასანანია! კონგრესზე წინადადება გვინდოდა წამოგვეყენებინა აპიმონდიის შემდეგი კონგრესის საქართველოში ჩატარების თაობაზე, მაგრამ...

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თითქოს ისეთი ტიპის ორგანიზაციებში გასაწევრებლად, როგორიცაა აპიმონდია, საქართველო მთლად მზად არ არის, რადგან სათანადო მხარდაჭერის გარეშე საერთაშორისო ასპარეზზე თავის წარმოჩენა, ფაქტობრივად, შეუძლებელია... ჰოდა, აპიმონდიის გენერალურ მდივანს საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის გაწევრებასთან დაკავშირებით სამადლობელო წერილი რომ მივწერე, იძულებული გავხდი ოროსანი ბავშვივით კონგრესზე დაუსწრებლობის მიზეზებზე რაღაც-რაღაცები სახელდახელოდ შემეთხზა...

თუმცა, მაინც იმედიანად ვართ და სხვისი თუ არა, მშობლიური გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერის იმედი მაინც გვაქვს, რომელიც შეძლებისდაგვარად მხარში გვიდგას.

* * *

დაბოლოს, აუცილებლად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ დღეებში საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტი, ბატონი რამაზ თავართქილაძე საქართველოს ფაზისისა და ტაო-კლარჯეთის აკადემიების ნამდვილ წევრად აირჩიეს, ხოლო კავშირის აპიმონდიაში გაწევრებაში შეტანილი წვლილისთვის, ტაო-კლარჯეთის აკადემიამ ბატონი რამაზი ოქროს მედლით დააჯილდოვა, რასაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს თავის კეთილშობილურ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში.

ოთარ ტურაბელიძე

ახალი ავტობუსები თბილისში

ISUZU-ს მარკის 8-მეტრიანი, **EURO** 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსები №108 მარშრუტზე გავიდა და მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“ სოფელი გლდანის მარშრუტზე მოძრავი 4 ძველი „ბოგდანი“ ამავე რაოდენობის ავტობუსით ჩაანაცვლა.

თბილისის მერიის ცნობით, პირველ ეტაპზე, ახალი ავტობუსები სულ 10 მარშრუტზე გადანაწილდნენ: №4, 10, 28, 34, 42, 56, 66, 78, 103 და 108.

ძველი ავტობუსების ახლით ჩანაცვლება თბილისის მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროექტის მიხედვით ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც, წელს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ შეისყიდა 220 ერთეული **ISUZU**-ს მარკის ავტობუსი. დარჩენილ 160 ავტობუსს მწარმოებელი ქალაქს წლის ბოლომდე ეტაპობრივად მიაწვდის.

ISUZU-ს მარკის ავტობუსი გათვლილია 53 მგზავრზე, აქვს 21 დასაჯდომი ადგილი და სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ავტობუსში განთავსებულია, როგორც ცშაშ მოდემი, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი ავტობუსის **WIFI**-ს სიგნალით დაფარვას, ასევე თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის საინფორმაციო ხმოვანი სისტემები. ავტობუსის სალონში დამონტაჟებულია ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემა და გთი დამტენები. პროექტის მთლიანი ღირებულება 64 790 000 ლარს შეადგენს.

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲘᲓᲝ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲚᲩᲘᲗᲐᲜ **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲑᲔᲠᲣᲩᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ.**

— 21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება“ გაფორმდა. რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს იგი საქართველოს?

— გაერთიანებული სამეფო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოა, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებული — სტრატეგიული ურთიერთობები აკავშირებს. 21 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმება სწორედ ამ გამორჩეული ორმხრივი ურთიერთობების ასახვაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ევროკავშირთან დადებული „ასოცირების შესახებ“ შეთანხმების მქონე ქვეყნებიდან პირველია, რომელმაც გაერთიანებულ სამეფოსთან ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და იმავდროულად, პირველი აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოა, რომელთანაც ბრიტანეთმა „ბრექსიტის“ შემდგომ თავისუფალი ვაჭრობის გაგრძელების თაობაზე შეთანხმებას მიაღწია.

ხელმოწერილი დოკუმენტის ძირითადი მიზანია ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის (ბრექსიტის) გათვალისწინებით, ქვეყნებს შორის ორმხრივი სამართლებრივი ბაზის შექმნა და ორმხრივი ურთიერთობების ყველა ძირითადი სფეროს დარეგულირება, როგორიცაა პოლიტიკური თანამშრომლობა, კონფლიქტის მოგვარება, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, თავდაცვა და უსაფრთხოება, დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, თავისუფალი ვაჭრობა, ეკონომიკური თანამშრომლობა, ენერგეტიკა, ტურიზმი, გარემოს დაცვა, განათლება, მეცნიერება, კულტურა და სხვა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების მთავარი დანიშნულება „ბრექსიტის“ შემდგომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული „ასოცირების შესახებ“ შეთანხმების ორმხრივი — საქართველო-ბრიტანეთის რეჟიმით ჩანაცვლებაა, ორ ქვეყანას შორის არსებულმა ურთიერთობებმა მოგვცა შესაძლებლობა, დოკუმენტში აგრეთვე ასახულიყო თანამშრომლობა ისეთ დარგებში, როგორიცაა მაგალითად, თავდაცვა და უსაფრთხოება. შეთანხმებაში ხაზგასმულია საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით და გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერა ნატოში საქართველოს გაწევრების მიმართ.

დოკუმენტში მკაფიოდ არის აღნიშნული საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ გაერთიანებული სამეფოს ურყევი მხარდაჭერა და მხარეთა შორის თანამშრომლობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებისა და საქართველოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ხელშეკრულება ადგენს ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის განსაკუთრებულ რეჟიმს და აყალიბებს სამართლებრივ ჩარჩოს არსებული ეკონომიკური და ბიზნეს-კავშირების კიდევ უფრო მეტად გაფართოებისა და გაღრმავებისთვის.

გარდა ამისა, დოკუმენტის თანახმად, შეთანხმების გამოყენებისა და შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მხარეები რეგულარულად გამართავენ სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორუმს, რომელსაც ამჟამად „უორდროპის სტრატეგიული დიალოგი“ ეწოდება. „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება ქმნის მყარ საფუძველს ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის შემდგომ ორ ქვეყანას შორის პრაქტიკულად ყველა სფეროში არსებული განსაკუთრებული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერებისთვის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრიტანეთთან ხელმოწერილი შეთანხმება უზრუნველყოფს ყველა იმ და კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობასა და სიკეთეს, რასაც იძლევა ევროკავშირთან დადებული „ასოცირების შესახებ“ შეთანხმება, იმ გამონაკლისით, რომ იგი ორ სახელმწიფოს — საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის თანამშრომლობას ითვალისწინებს.

— ბრძანეთ, შეთანხმება მოიცავს თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროს, მათ შორის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობას და ა.შ. შეგიძლიათ, გვითხრათ, კონკრეტულად რა აქტივობებს შეიძლება გულისხმობდეს ეს უკანასკნელი?

— რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებისა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დეოკუპაციის პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩართულობა ჩვენი პარტნიორებისა და მოკავშირეების მხრიდან, რომელთაგან გაერთიანებული სამეფო ერთერთი მოწინავეა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 21 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმება შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტია, განსხვავებით საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებისგან, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური მნიშვნელობისაა, მაგრამ უმეტესწილად სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ აღნიშნული შეთანხმება, როგორც სავალდებულო ბუნების მქონე დოკუმენტი, აღიარებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის, რუსეთის უკანონო სამხედრო ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე და ნაბიჯები გადადგმული საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ანექსიისკენ.

ამასთან, შეთანხმების თანახმად, ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ერთ-ერთი მიზანია, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მშვიდობასა და უსაფრთხოებას, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების და კონფლიქტის შედეგად გაყოფილი საზოგადოებების შერიგებისა და ნდობის აღდგენის ჩათვლით, საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით.

გარდა ამისა, შეთანხმებაში ხაზგასმულია მხარდაჭერა საქართველოს მიერ მშვიდობისა და უსაფრთხოებისადმი მტკიცედ ნაკისრი ვალდებულებისა და მისი ძალისხმევის მიმართ, აღადგინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობა კონფლიქტის მშვიდობიანი და საბოლოო მოგვარების ამომწურავი პოლიტიკის თანამიმდევრულად და გაერთიანებული სამეფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების მიმართ, მხარი დაუჭიროს კონფლიქტის მშვიდობიან და საბოლოო მოგვარებას.

დოკუმენტი აგრეთვე ხაზს უსვამს ევროკავშირის შუამავლობით საქართველოსა და რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების იმპლემენტაციის უზრუნველყოფის, ადგილზე მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ქმედითი საერთაშორისო ჩართულობის, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირისა და დევნილის სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში ხელშესახები მიზნების მიღწევის, მტკიცე არაღიარების პოლიტიკის განხორციელების, კონფლიქტების შედეგად გაყოფილი საზოგადოებების შერიგებისა და ნდობის აღდგენის და მათთან შემდგომი ჩართულობის მნიშვნელობას.

ამასთან, შეთანხმების თანახმად, როგორც საქართველო, ისე გაერთიანებული სამეფო იღებენ ვალდებულებას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ჩათვლით, გავრცელონ ორ ქვეყანას შორის ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შედეგად მიღებული სარგებელი.

ხელშეკრულება მხარეებს აგრეთვე ავალდებულებს, მოახდინონ სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან და ორგანიზაციებთან ძალისხმევის კოორდინირება, რათა წვლილი შეიტანონ საქართველოში მშვიდობასა და უსაფრთხოებაში. კონფლიქტის მდგრად გადაწყვეტამდე და კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად არსებული ფორმატებისთვის ზიანის მიუყენებლად, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება ორი ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკური დიალოგის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი თემა, ისევე, როგორც სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან დიალოგისას.

— აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 2017 წლის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტის პროექტი კრძალავს ქვეყნის მიერ იმ სახელმწიფოების დახმარებას, რომლებმაც ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარეს. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს, რომ გამოყოფილი თანხები არ უნდა გახდეს ხელმისაწვდომი სეპარატისტულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ოკუპაციის მხარდასაჭერად. ამ ახალი შეთანხმების გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელია, ანალოგიური დოკუმენტი ბრიტანეთმაც მიიღოს?

— გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ურყევია. ამ მხრივ ბრიტანეთი ჩვენი ერთ-ერთი წამყვანი პარტნიორია, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითიც ბრიტანული მხრიდან გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციის თანასპონსორობაა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენი ახალი ორმხრივი შეთანხმება სამართლებრივად კიდევ უფრო მეტად ამყარებს ჩვენს მიმართ გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერას რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებისა და ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაციის პროცესში.

რაც შეეხება ბრიტანელების მიერ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 2017 წლის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტის მსგავსი დოკუმენტის მიღებას, ამ თემაზე საქართველოს საელჩოს აქტიური დიალოგი აქვს შესაბამის პარტნიორებთან, როგორც მმართველ, ასევე ოპოზიციურ პარტიასთან. ბრიტანეთის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ზოგადი მიდგომა და პრაქტიკა დახმარების პოლიტიკის წარმოებასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ ამ ტიპის საკანონმდებლო აქტების მიღების დაბალ ალბათობას განაპირობებს.

თუმცა ჩვენ ერთობლივად განვიხილავთ მხარდაჭერის სხვა ეფექტურ ზომებს. ამ მიმართულებით, საელჩოს ძალისხმევის შედეგად, 2018 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტში საქართველოს საკითხებზე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის მხარდაჭერით ჯგუფის თავმჯდომარემ ჯონათან ჯანოგლიმ თემთა პალატაში მრავალპარტიული პოლიტიკური განცხადების (Motion) ინიცირება გაიკეთა. აღნიშნული განცხადება, რომლის სახელწოდებაა "Georgia 100th Anniversary, Motion 1500", წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის მხრიდან საქართველოს მიმართ პოლიტიკური მხარდაჭერის პირველ პრეცედენტს ამ ფორმით. პარლამენტის პოლიტიკური განცხადება მიესალმება დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის მაღალი დონის ურთიერთობების განვითარებას, მათ შორის საპარლამენტო თანამშრომლობის გაძლიერებას; დემოკრატიის კონსოლიდაციის, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის, მედიათავისუფლების, კარგი მმართველობის, ღია მმართველობისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის კუთხით ბოლო წლებში წარმატებით განხორციელებულ რეფორმებს. განცხადება ხაზს უსვამს რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციას, ადგილზე ადამიანის უფლებათა მიუღებელ დარღვევებს და ადასტურებს დიდი ბრიტანეთის უპირობო მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

— ბრიტანეთში გასამგზავრებლად საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების მიღება საკმაოდ ძნელი და ძვირადღირებულია. ახლა, როცა ბრიტანეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გავაფორმეთ, შესაძლებელია თუ არა ამ მიმართულებით ცვლილებები?

— ჩვენ მუდმივ რეჟიმში ვმუშაობთ ბრიტანელ კოლეგებთან, რათა მოხერხდეს მათი მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივება, შემდგომში სრულად გაუქმების მიზნით, მით უმეტეს — იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მგზავრობისთვის ბრიტანელი მოქალაქეები უვიზო რეჟიმით სარგებლობენ. თუმცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაართულა ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის პროცესმა. კერძოდ, „ბრექსიტის“ გათვალისწინებით, ბრიტანეთის მთავრობა მიგრაციის ახალი პოლიტიკის მომზადების პროცესშია და შესაბამისად, ამ ეტაპზე ბრიტანულ მხარეს უჭირს სავიზო რეჟიმებთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის „სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება არეგულირებს სავიზო რეჟიმთან დაკავშირებულ ისეთ სფეროებს, როგორიცაა მიგრაცია, თანამშრომლობა სამართალდამცავ უწყებებს შორის, დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი შეთანხმების თანახმად, საქართველო და გაერთიანებული სამეფო იღებენ ვალდებულებას ითანამშრომლონ მობილობის, კანონიერი მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის მიმართულებით, რაც შექმნის შესაძლებლობებს ორ ქვეყანას შორის ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობისთვის.

ამრიგად, დღეის მდგომარეობით, კონკრეტულ მოლოდინებზე საუბარი რთულია, თუმცა ახალი შეთანხმება ნამდვილად იძლევა ნოყიერ საფუძველს უახლოეს მომავალში გაერთიანებული სამეფოს მხრიდან სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხის განხილვისათვის.

„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“

ᲛᲝᲒᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲓᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲗᲘᲥᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲐᲚᲘ ᲡᲪᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲘᲥᲛᲔᲚᲡ.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲝᲗ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲨᲔᲡᲮᲛᲐᲨᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პრეზიდენტის 1167-Ე ᲓᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ 2001 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲕᲐᲚᲐ: ᲓᲐᲘᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲮᲐᲨᲛᲨᲘ, ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲝᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ.

ᲔᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ 1983 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 492-Ე ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲯᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲨᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲨᲣᲥᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“, „ᲘᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“, „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲗᲣ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲗᲣ ᲐᲕᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲛᲔᲪ ᲕᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲓᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲭᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓᲐᲪ (ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲛᲔᲮᲣᲗᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲔᲥᲘ) ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓᲐᲪ. ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲛᲐ ᲦᲕᲐᲠᲪᲝᲤᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲐ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲔᲥᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲡᲐᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲢᲐᲜᲘᲜᲔ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲕᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔ.

ᲮᲐᲨᲛᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲘᲛ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ. ᲞᲐᲞᲐᲩᲔᲛᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ-ᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. 1905 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲯ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲘᲡᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡ ᲒᲣᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲝᲕ-ᲐᲕᲐᲠᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲒᲐᲖᲗ „ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝ. ᲛᲔᲤᲘᲡᲜᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲘ „ᲒᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ, ᲨᲔᲡᲮᲡᲓᲜᲔᲜ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ᲩᲐᲓᲒᲜᲔᲜ ᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲒᲖᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲗ, ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲰᲙᲠᲔᲡ ᲝᲠᲞᲘᲠᲘ ᲛᲐᲧᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲒᲣᲜᲘᲗ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲜᲔᲜ ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡᲙᲔᲜ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲮᲐᲨᲛᲘᲡᲙᲔᲜ.“

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲙᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ.

ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲰᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲧᲐᲚᲘᲑᲝᲗ, ᲡᲐᲒᲐ-ᲠᲔᲯᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲨᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲨᲣᲥᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“, „ᲘᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“, „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲗᲣ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲗᲣ ᲐᲕᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲛᲔᲪ ᲕᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲓᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲭᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓᲐᲪ (ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲛᲔᲮᲣᲗᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲔᲥᲘ) ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓᲐᲪ. ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲛᲐ ᲦᲕᲐᲠᲪᲝᲤᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲐ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲔᲥᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲡᲐᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲢᲐᲜᲘᲜᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔ.

ᲮᲐᲨᲛᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲘᲛ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ. ᲞᲐᲞᲐᲩᲔᲛᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ-ᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. 1905 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲯ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲘᲡᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡ ᲒᲣᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲝᲕ-ᲐᲕᲐᲠᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲒᲐᲖᲗ „ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝ. ᲛᲔᲤᲘᲡᲜᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲘ „ᲒᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ, ᲨᲔᲡᲮᲡᲓᲜᲔᲜ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ᲩᲐᲓᲒᲜᲔᲜ ᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲒᲖᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲗ, ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲰᲙᲠᲔᲡ ᲝᲠᲞᲘᲠᲘ ᲛᲐᲧᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲒᲣᲜᲘᲗ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲜᲔᲜ ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡᲙᲔᲜ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲮᲐᲨᲛᲘᲡᲙᲔᲜ.“

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲙᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ.



ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲮᲐᲨᲛᲨᲘ, ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲝᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ.

ᲔᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ 1983 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 492-Ე ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲯᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲨᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲨᲣᲥᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“, „ᲘᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“, „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲗᲣ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲗᲣ ᲐᲕᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲛᲔᲪ ᲕᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲓᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲭᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲐᲓᲐᲪ (ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲛᲔᲮᲣᲗᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲓᲔᲥᲘ) ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓᲐᲪ. ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲛᲐ ᲦᲕᲐᲠᲪᲝᲤᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲐ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲔᲥᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲡᲐᲐᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲢᲐᲜᲘᲜᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔ.

ᲮᲐᲨᲛᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲘᲛ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲐᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲑᲠᲫᲝᲓᲜᲔᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ. ᲞᲐᲞᲐᲩᲔᲛᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ-ᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. 1905 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲯ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲘᲡᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡ ᲒᲣᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲝᲕ-ᲐᲕᲐᲠᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲒᲐᲖᲗ „ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝ. ᲛᲔᲤᲘᲡᲜᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲘ „ᲒᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ, ᲨᲔᲡᲮᲡᲓᲜᲔᲜ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ᲩᲐᲓᲒᲜᲔᲜ ᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲒᲖᲐᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲗ, ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲰᲙᲠᲔᲡ ᲝᲠᲞᲘᲠᲘ ᲛᲐᲧᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲒᲣᲜᲘᲗ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲜᲔᲜ ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡᲙᲔᲜ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲮᲐᲨᲛᲘᲡᲙᲔᲜ.“

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲙᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲮᲐᲨᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲗᲣ ᲐᲠᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲡ ᲥᲣᲠᲓᲣᲚᲐᲓ ᲗᲣ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲣᲢᲐᲜᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲢᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲗᲣ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲝᲠᲡ. ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ წᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ �გᲐᲕᲘᲒᲝᲗ, ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ, ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲓ, ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ.... ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲕᲘᲜᲛᲔᲛ ᲗᲣ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ, ᲘᲠᲐᲜᲘᲡ, ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ, ᲔᲠᲐᲧᲘᲡ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ, ᲡᲘᲠᲘᲘᲡ, ᲔᲒᲕᲘ�პᲢᲘᲡ, ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲣ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲡ, ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲡ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ-ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲔᲓᲠᲔᲡᲔᲔᲑᲨᲘ, ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲥ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ, ᲡᲐᲣᲜᲯᲔ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲥᲐᲠᲗᲣ

◎ ფორუმი

რჩეულთა შორის

ევროპის ოლიმპიურ კომიტეტში (პრეზიდენტი – იანეზა კოჩიანჩინი) საქართველო 1993 წელს გაწევრიანდა და მას შემდეგ აღნიშნულ ავტორიტეტულ საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციასთან აქტიურად თანამშრომლობს.

ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის დელეგაცია კონტინენტის 50 სახელმწიფოს ოფიციალურ პირებთან ერთად ვარშავაში გამართული 48-ე გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა, სადაც ძველი სამყაროს სტრუქტურულ ერთეულთა კოორდინირებულ საქმიანობასთან დაკავშირებული მიმდინარე და სამომავლო საკითხები განიხილებოდა.

საგულისხმოა, რომ ფორუმის შემდეგ მოწყობილ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე სპეციალური პრემია ოლიმპიური მოძრაობის მხარდაჭერის, ოლიმპიური იდეალებისა და ფასეულობების გავრცელების, ოლიმპიურ თამაშებსა და ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობისა და ფიგურული ციგურაობის, როგორც სპორტის ზამთრის ოლიმპიური სახეობის, პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა საქართველოს ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს **მაკა გიორგობიანს**.

ვულოცავთ!

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ქალთა ნაკრები მეორე ადგილზეა

ბათუმში გრძელდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც მანდილოსანთა 32 და მამაკაცთა 40 ნაკრები მონაწილეობს, მათ შორის - ხუთი გუნდი საქართველოდან. უკვე მიილია პირველობის ნახევარი. მეხუთე ტურში წარმატებით ითამაშა ჩვენმა ტრიომ, რომელმაც გათამაშების ცხრილში გამარჯვებები ჩაიწერა.

ქალები. **საქართველო – სომხეთი** 2.5:1.5 (ნანა ძაგნიძე – ლილით მკრტჩიანი 0.5:0.5, ლელა ჯავახიშვილი – ელინა დანიელიანი 1:0, ბელა ხოტენაშვილი – მარია გევორგიანი 1:0, სალომე მელია – ანა სარგსიანი 0:1); **ესპანეთი – საქართველო (2)** 1.5:2.5 (საბრინა გუტიერეს ვეგა – ნინო ბაციაშვილი 0.5:0.5, მარტა გარსია – ნინო ხომერიკი 1:0, ანა მათნაძე – სოფიკო ხუხაშვილი 0:1, მონიკა კალზეტა – სოფიო გვეტაძე 0:1); **საბერძნეთი – საქართველო (3)** 2.5:1.5 (სტავრულა ცოლაკიდუ – ლილე ქორიძე 0.5:0.5, ანასტასია ავრამიდუ – ეკატერინე ფიფია 1:0, მარინა მაკროპულუ – ნია დოღვანი 0.5:0.5, იულია მაკა – დიანა ლომაია 0.5:0.5); რუსეთი – უნგრეთი 3:1, სერბეთი – უკრაინა 2.5:1.5, იტალია – აზერბაიჯანი 1.5:2.5, პოლონეთი – საფრანგეთი 2.5:1.5.

ხუთი ტურის შემდეგ: რუსეთი – 10 (საერთო მონაგარი 14.5 ქულა), საქართველო – 8 (13.5), აზერბაიჯანი – 8 (13.5), სერბეთი – 8 (14.5), პოლონეთი – 7 (11.5), საქართველო (2) – 7 (12), უნგრეთი – 7 (10.5).

ვაჟები. **ჩეხეთი – საქართველო (2)** 3:1 (დავიდ ნავარა – ნოე თუთისანი 1:0, ვან ნგუენი – ნიკოლოზ პეტრიაშვილი 0.5:0.5, ირჟი სტოჩეკი – ნიკოლოზ კაჭარავა 1:0, პეტერ მიხალიკი – ლუკა ობოლაძე 0.5:0.5); **მაკედონია – საქართველო 0:4** (თრაიკო ნედევი – ბაადურ ჯობავა 0:1, ფილიპ პანჩევსკი – ივან ჩეპარინოვი 0:1, ნიკოლა ნიკოლოვსკი – ლევან ფანცულაია 0:1, ტონი ლაზოვი – გიგა ყუფარაძე 0:1); რუსეთი – სომხეთი 2.5:1.5, უკრაინა – ინგლისი 2.5:1.5, ხორვატეთი – აზერბაიჯანი 2:2, ჰოლანდია – გერმანია 1.5:2.5, შვეიცარია – სლოვენია 1:3, ნორვეგია – თურქეთი 2:2.

ხუთი ტურის შემდეგ: უკრაინა – 9 (12.5), რუსეთი – 9 (13.5), სლოვენია – 8 (13.5), გერმანია – 8 (11.5)... საქართველო – 6 (12), საქართველო (2) – 4 (9).

მოჭადრაკეებმა გუშინ დაისვეეს, ხოლო დღეს მე-6 ტურის პაექრობები გაიმართება.

ლექსო ციცაძე

◎ პროექტი

ასე მოვედით ევრობასკეტამდე

2021 წელს საქართველო ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს უმასპინძლებს! საიდან დაიწყო ქართული კალათბურთი, როგორი გზა გაიარა დღემდე და როგორ მივიდა ევრობასკეტამდე? კალათბურთის ეროვნული ფედერაცია იწყებს ახალ პროექტს – ქართული კალათბურთის გზა 2021 წლის ევრობასკეტამდე.

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პროექტი გრძელვადიანია, რომელიც 2021 წლის ევრობასკეტამდე გაგრძელდება. აღნიშნული პროექტის საშუალებით ევრობასკეტ 2021-ის ფარგლებში ქართულ საზოგადოებას მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია ქართული კალათბურთის ისტორიის, მოთამაშეთა და მწვრთნელთა შესახებ, რომელთა დამსახურებითაც კალათბურთი სპორტის მოწინავე სახეობა გახდა და ევრობასკეტამდე მივიდა.

ქართული კალათბურთის ისტორია ორ ნაწილად იყოფა – დამოუკიდებლობამდე და მის შემდეგ. 1991 წლიდან ქართული კალათბურთიც დამოუკიდებლად ჩაება საერთაშორისო ასპარეზზე და საქართველოს ეროვნული ნაკრები ნელი, მაგრამ მყარი ნაბიჯებით დაიძრა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ.

პროექტის ავტორები მოგიყვებიან მოთამაშეებზე, რომლებმაც საქართველოს ნაკრების ოფიციალურ მატჩებში იასპარეზეს და თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული კალათბურთის განვითარებაში. ისინი მოგითხრობენ ნიკოლოზ დერიუგინიდან, ვახტანგ ნაცვლიშვილიდან და ვლადიმერ სტეფანიადან ზაზა ფაჩულიამდე, ვიქტორ სანიკიძემდე და მანუჩარ მარკოიშვილამდე, რომელთა ასპარეზობის ისტორიით დასრულდება პროექტის პირველი ეტაპი.

მეორე ეტაპზე კი გაეცნობით ისტორიას 1922 წლიდან, ქართული კალათბურთის დაარსებიდან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

კობა კობახიძე

◎ ყიფიანის თასი

წლეულსაც - გორში ...

შარშანწინ ქართლის გულმა პირველად უმასპინძლა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალურ მატჩს და მაშინ საჩხერის „ჩიხურამ“ პენალტების სერიაში ქუთაისის „ტორპედო“ დაამარცხა.

და აი, ორწლიანი პაუზის შემდეგ გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე მეორედ დაინიშნა სატიტულო ბრძოლა.

თბილისური დერბი: „საბურთალო“ – „ლოკომოტივი“ კვირას, 8 დეკემბერს 15 საათსა და 30 წუთზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ვიხილავთ.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი პირველად ითამაშებს დასკვნით რაუნდში, მის მომავალ მეტოქეს კი განვლილი ოთხი ცდიდან სამი გამარჯვებით აქვს დასრულებული.

გიორგი შოთაძე

◎ ეს რეალობაა

ბალეტი... მორაგბეთათვის

თითძოსდა, რა შეიძლება იყოს ბალეტსა და რაგბიზე უფრო განსხვავებული?

ბალეტი – ნაზი, ჰაეროვანი, გრაციოზული;

რაგბი – ძალისმიერი, უხეში, ბარბაროსული...

მაგრამ ოვალური ბურთის გრანდებმა – ახალმა ზელანდიამ, დიდმა ბრიტანეთმა და ავსტრალიამ, ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციებით, რამდენიმე წელიწადია, ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა საწვრთნელ პროცესს ბალეტში ყოველკვირეული ვარჯიშები დაამატეს, ანუ, შეიძლება ითქვას, ეს მეთოდი უკვე აპრობირებულია და გაამართლა, რადგან, დადებითი შედეგები რომ არა, ბალეტში ვარჯიშს წლების განმავლობაში აღარ განაგრძობდნენ.

დავაკონკრეტოთ: დიდი ბრიტანეთის რაგბის ლიგის წევრ გუნდ „უიგან ვორიორის“ ცხრამეტწლამდელი მოთამაშეები ყოველკვირეულად ვარჯიშობენ ბალეტში, რაც მათ ფიზიკურ შესაძლებლობათა უფრო განვითარებაში, მუხლებისა და კოჭების ტრავმების შემცირებასა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში ეხმარება.

გუნდის წევრთა თქმით, მათ ძალიან მოსწონთ ბალეტის გაკვეთილები და აშკარად რწმუნდებიან მათს სარგებლიანობაში. ბალეტის მასწავლებელს სწამს, რომ ამგვარი ვარჯიშებით გუნდის პროფესიონალიზმი საგრძნობლად ამაღლდება.

„თავიდან გავოგნდი, რომ გავიგე, ბალეტში უნდა გვევარჯიშა. მაგრამ გვითხრეს, ეს ხუმრობა არ არისო და ვიფიქრე, კარგი შესვენება გვექნება გონებისა და მუხლებისთვის-მეთქი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბალეტი სულაც არ ყოფილა შესვენება. დადებითი შედეგები სახეზეა“, – ამბობს გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე.

„უიგან ვორიორი“ – ინგლისის პროფესიული ლიგის გუნდი, ყველაზე წარმატებული ა მსოფლიოში. მოთამაშეებს სჯერათ, რომ რაგბისა და ბალეტის სიმბიოზით კვლავაც პირველ ადგილზე იქნებიან. ამასვე ადასტურებს გუნდის მწვრთნელი დარელ გოულდინი.

შოტლანდიელი ჰემიშ ქორნელი ბავშვობიდან დადიოდა რაგბისა და ბალეტზე. ამ უკანასკნელმა მას სიმსუბუქე და მოქნილობა შემატა, ნახტომი გაუუმჯობესა და ტრავმებისაგან დაიცვა.

ახალი ზელანდიის საზერლენდის სკოლის რაგბის პირველი გუნდის ბიჭებმა წარმატებებით დაამტკიცეს, რომ რაგბისა და ბალეტს შორის ბევრი საერთოა. სკოლის ყოფილი მოსწავლე შენონ ვოდსონი, რომელიც ამჟამად ახალი ზელანდიის ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებს, ამავე აზრისაა. მისი თქმით, ორივე სერიოზულ დამოკიდებულებასა და დისციპლინას მოითხოვს: ბალეტი მოთამაშეებს როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივადაც ავითარებს. ბალეტის ვარჯიშებით მოთამაშეები უფრო ძლიერი, ამტანი ხდებიან და კოორდინაციაც გაცილებით უუმჯობესდებათ. იკლო ტრავმების რაოდენობამაც.

რაგბის სპეციალისტმა ალან გრეგორმა სახალხოდ განაცხადა, რომ ავსტრალიის რაგბის ბევრ გუნდს უტარდება ბალეტის გაკვეთილები, რაც ერთობ აუმჯობესებს მოთამაშეთა ფიზიკურ კონდიციებს, ამცირებს ტრავმების რაოდენობას და აძლიერებს მათ კონკურენტუნარიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადჰყოფს, რაოდენ სერიოზულად მიიჩნევენ რაგბის ბობოლები ბალეტში ვარჯიშს და რამდენი სიკეთე მოაქვს მას მოთამაშეთათვის. ეს მეთოდი – ვარჯიში ბალეტსა და რაგბიში – უკვე აპრობირებულია და მის მნიშვნელობაზე აღარავინ კამათობს.

აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის – ვინც დააგვიანა, უკვე წააგო. ნუ ვიქნებით მაჩანჩალები. ვარჯიშის ამ მეთოდის დროულად და ხარისხიანად დანერგვა, გვჯერა, საქართველოს რაგბის ძალიან გამოადგება და მომავალ წარმატებათა მტკიცე საწინდარი იქნება.

მარიამ ხატიაშვილი-გურგენიძე

ვაშინგტონს გული ქურთებისკენ მოუბრუნდა



აშშ დაიცავს სირიის ნავთობსაბადოებს და დაპირისპირების შემთხვევაში, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს სამხედრო ძალით უპასუხებს, მათ შორის რუსეთსა და სირიას, — ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მდივანმა მარკ ესპერმა განაცხადა.

მარკ ესპერის თქმით, ვაშინგტონის ამოცანაა, რომ ნავთობსაბადოები მოკავშირე ქურთულმა დაჯგუფებამ, „სირიის დემოკრატიულმა ძალებმა“ გამოიყენოს.

პენტაგონის ხელმძღვანელის განცხადებით, ამერიკელი სამხედროები ნავთობსაბადოებს უკვე იცავენ.

სირიის სახელმწიფო ტელევიზიამ 26 ოქტომბერს განაცხადა, რომ ამერიკელი სამხედროები ერაყიდან სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ჰასაქას პროვინციაში დაბრუნდნენ.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროში აშშ-ის მოქმედებას სახელმწიფო ბანდიტიზმი უწოდეს და ვაშინგტონი ნავთობის კონტრაბანდის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს.

„ჩვენ მშვიდობა გვსურს, მაგრამ ვიღაც ვერ მშვიდდება“...

ლიეტუვაში, ბელარუსის საზღვართან ამერიკელი სამხედროებისა და ჯავშანტექნიკის განთავსებას მინსკი შესაბამისად უპასუხებს. ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ ქვეყნის უშიშროების საბჭოს სახელმწიფო მდივანთან, თავდაცვის მინისტრთან და მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელთან შეხვედრისას განაცხადა.

„არასდროს, ასე დემონსტრაციულად ჩვენს საზღვრებთან, ოკეანის გადაღმიდან ჯარები არ გადმოუსროლიათ. ასეთი რამ არასდროს მომხდარა. ჩემი აზრით, ეს ლიეტუვაშიც პირველად ხდება. ეს პრეცედენტია. ბუნებრივია, ასეთ დემონსტრაციებზე ჩვენ იძულებული ვართ, ვუპასუხოთ. ამასთან, უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ არ უნდა ვაჟღარუნოთ იარაღი. ჩვენ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო ვართ, ჩვენ არ უნდა ვიომოთ“, — განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელარუსის პრეზიდენტის თქმით, მან რამდენიმე დღის წინ შესაბამის უწყებებს ლიეტუვაში ბელარუსის საზღვართან ამერიკული კონტინგენტის განთავსებაზე ადეკვატური რეაგირების ზომების შემუშავება დაავალა.

ლუკაშენკომ ასევე აღნიშნა, რომ გასული საუკუნეების განმავლობაში ბელარუსი არაერთხელ დაზარალდა სხვისი ომების შედეგად.

„ბელარუსი ხალხისთვის ომების ფურცელი უკვე გადაშლილია. ჩვენი პოლიტიკა გასაგებია: ჩვენ გვსურს, რომ ამ რეგიონში და მთელს ევროპაში — ჩვენს საერთო სახლში იყოს მშვიდობა. თუმცა, როგორც ჩანს, ვიღაც ვერ მშვიდდება“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

რუსი ჯაშუში ქვეყნიდან გააძევეს

ბულგარეთმა ქვეყნიდან რუსი დიპლომატი, ბულგარეთში რუსეთის საელჩოს პირველი მდივანი გააძევა.

ბულგარეთის პროკურატურის ინფორმაციით, რუსი დიპლომატი რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაშია ეჭვმიტანილი.

როგორც ცნობილია, საელჩოს პირველი მდივანი ხშირად მართავდა საიდუმლო შეხვედრებს სხვადასხვა ადამიანთან, რომელთაც ჰქონდათ წვდომა საკუთრივ ბულგარეთის, ასევე, ევროკავშირისა და ნატოს საიდუმლო დოკუმენტებთან.

პროკურატურის განცხადებით, დიპლომატი აგროვებდა ინფორმაციას, რათა ის უცხო ქვეყნისთვის გადაეცა.

ბულგარეთის საგარეო უწყების ცნობით, რუსმა დიპლომატმა ქვეყანა უკვე დატოვა.

რუსულ არხებს ბოიკოტი გამოუცხადეს

უკრაინის მმართველი პარტიის „ხალხის მსახურის“ წევრებმა რუსულ არხებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

„ხალხის მსახურის“ წევრებმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც მმართველი პარტიის წევრმა ევგენი შევჩენკომ რუსეთის პირველი არხის გადაცემაში მიიღო მონაწილეობა. რუსული არხის ეთერში მის გამოჩენას უკრაინაში სკანდალი მოჰყვა.

შევჩენკომ რუსული არხის გადაცემაში „დიდი თამაში“ განაცხადა, რომ დონბასში ძალების დაშორიშორების პროცესს „ნაციონალისტები აფერხებენ“. ამავე დროს, უკრაინელმა დეპუტატმა თქვა, რომ უკრაინას რუსეთთან „პარტნიორული ურთიერთობები სურს, თუმცა თანამშრომლობა თანაბარუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული“.

უკრაინული მედიის ცნობით, ინციდენტის შესახებ მმართველი პარტიის წევრებმა ფრაქციის დახურულ სხდომაზე იმსჯელეს, რომელშიც უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკიც მონაწილეობდა. სხდომაზე გადაწყდა, რომ „ხალხის მსახურის“ წევრები რუსულ არხებზე აღარ გამოჩნდებიან.

სანთელი

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მეან-გინეკოლოგთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ღვაწლმოსილი, გამორჩეული პიროვნება, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი

პალიკო კინტრაია

და სამძიმარს უცხადებს ჩაჩავას კლინიკას, განსვენებულის ოჯახს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“

მაყვალა სიგუა ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს, მისი და მისი ოჯახისთვის პატივსაცემი უდიდესი პიროვნების, ბატონი

პალიკო კინტრაიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ხათუნა ქეცბაია და მარი კილასონია ღრმა გულისტკივილს გამოვხატავთ ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ადამიანის, ბატონი

პალიკოს

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

მზია გველესიანი, ჟუჟუნა ქანაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან დიდებული ადამიანის, ღირსეული პიროვნების, ბატონი

პალიკოს

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ავარიას თბილისში მსხვერპლი მოჰყვა

ერთი ადამიანი გარდაიცვალა და 2 დაშავდა თბილისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. შემთხვევა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. „ტოიოტას“ მარკის ავტომობილი ხეს შეეჯახა, რის შედეგადაც მგზავრი დაიღუპა, მძღოლი კი დაშავდა. შემხვედრი მიმართულებით მოძრავი „ჰონდა“ კი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ბორდიურს შეეჯახა, რის გამოც მანქანის მგზავრი დაშავდა. შემთხვევის შედეგად კიდევ ერთი მანქანა დაზიანდა.

ტრაგედია ქობულეთში

ქობულეთში ავარიის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და სამი დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომანქანა ხეს შეეჯახა. თვითმხილველების ვარაუდით, გარდაცვლილებიც და დაშავებულებიც არასრულწლოვნები არიან.

მიწისძვრა ფილიპინებზე

ფილიპინებზე 6,6 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა, რასაც სულ მცირე 2 ადამიანი ემსხვერპლა. არიან აგრეთვე დაშავებულები.

სტიქიის ეპიცენტრი მინდანაოს კუნძულზე იყო. მანამდე, 17 ოქტომბერს ფილიპინებზე 6,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა, რასაც 5 ადამიანი ემსხვერპლა, 27 კი დაშავდა.

პოლიციელმა საკუთარ შვილს ესროლა

აშშ-ში, ტეხასში სახლში დაბრუნებისას სამართალდამცველმა „უცნობი“ პირი შენიშნა, პოლიციელმა იფიქრა, რომ შენობაში შესაძლოა, თავდამსხმელი ყოფილიყო და ისროლა.

პოლიციის განცხადებით, თანამშრომელმა ვერ გააცნობიერა, რომ სახლში შესაძლოა, მისი 20 წლის შვილი ყოფილიყო. მამას, 20 წლის ბიჭის სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობა არ მიუყენებია.

ავტოფარეხის კარი ღია იყო, რამაც სახლში დაბრუნებული ოფიცრის შეშფოთება გამოიწვია და მიიჩნია, რომ სახლში „ვიღაც იყო“.

ღვაწლი დაუფასდათ!

სალომე ზურაბიშვილმა ქართული ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის ოზურგეთის ფოლკლორულ ანსამბლ „შვიდკაცასა“ და „იადონის“ წევრები ღირსების მედლით დააჯილდოვა.

„დიმა ბაქანიძეს, თენგიზ გოლიაძეს, თამაზ თავდუმაძეს, გელა ლომჯარიას, გიორგი ნიკოლაიშვილს, ნოდარ როყუას, მოსე სვანაძეს საქართველოს პრეზიდენტის სახელით, სახელმწიფო ჯილდოები ოზურგეთობის სახალხო დღესასწაულზე საზეიმოდ გადაეცათ“, – იუწყება პრეზიდენტის პრესსამსახური.

„სივრცე და ფორმა“ ეროვნულ ბიბლიოთეკაში

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართველ მოქანდაკეთა მასშტაბური გამოფენა სახელწოდებით „სივრცე და ფორმა“ გაიხსნა. ორგანიზატორების თქმით, ეს ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც ხელოვნების ერთ-ერთ ურთულეს დარგს - ქანდაკებას მიეძღვნა და არის ერთგვარი ექსკურსი, თუ როგორ განიცადა დარგმა ევოლუცია.

გამოფენის მიზანი ქანდაკების თანამედროვე გაზიარებაა. ექსპოზიციაში 15-მდე სხვადასხვა ასაკის მოქანდაკის ნამუშევრებია წარმოდგენილი. დამთვალიერებლებს ექსპონატების ნახვა სამი დღის განმავლობაში შეეძლებათ.

GERA-ს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში პროექტის ციკლი დაიწყო, რომელშიც პირველი სწორედ აღნიშნული ექსპოზიციაა. კონკურსზე წარდგენილია როგორც ახალგაზრდა მოქანდაკეების, ასევე ძველი თაობის ცნობილი მოქანდაკეების ნამუშევრები.

დიდი მწერლის საიუბილეოდ

მწერალთა სახლი გურამ დოჩანაშვილის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად, საქართველოს სკოლების უფროსკლასელთათვის ლიტერატურულ კონკურსს აცხადებს.

მწერალთა სახლის ინფორმაციით, კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეებს.



მოსწავლეებმა გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების მიხედვით სამი შემოთავაზებული თემიდან უნდა დაწერონ და საკონკურსოდ წარმოადგინონ ერთ-ერთი:

- **კარცერი-ლუქსი – ოცნება წიგნის მოყვარულთათვის („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“).**
- **გზა მწყემსობიდან ვატერპოლომდე („ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“).**
- **ჩემი საყვარელი ნაწარმოები გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებიდან.**

ესეებს შეაფასებს ჟიური, რომელიც მწერალთა სახლის თანამშრომლებისგან შედგება. დაჯილდოება გაიმართება დეკემბრის ბოლოს მწერალთა სახლში.

გაიცემა სამი პრემია. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან წიგნის მაღაზიის ვაუჩერებით.

ქართული ღვინის ტრიუმფი ვარშავაში

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში საერთაშორისო გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 22 კომპანია მონაწილეობდა. ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

Warsaw Wine Experience პირველად გაიმართა და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 150-მდე მწარმოებელი იყო წარმოდგენილი. სააგენტოს ცნობით, ქართული ღვინო პოლონეთში დიდი მოწონებით სარგებლობს და, შესაბამისად, გამოფენაზე მოსული სტუმრების მხრიდან ქართული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციით დაინტერესება დიდი იყო.

7 თვეში 14-რვაათასიანი

ნეპალელმა ალპინისტმა და ყოფილმა ჯარისკაცმა დედამიწის 14 ყველაზე მაღალი მთა 7 თვეში დალაშქრა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

36 წლის ნირმალ პუჯამ მე-14 მწვერვალი 29 ოქტომბერს დაიპყრო, რის შესახებაც Twitter-ზე დაწერა.

ყველას ვერ შემოვუშვებთ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წელსა და 2019 წლის 1 იანვრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უცხო ქვეყნის 38 000 მოქალაქეს ეთქვა უარი.

ორივე წლებში, ქვეყანაში შემოსვლაზე ყველაზე მეტი უარი ინდოეთისა და ირანის მოქალაქეებს უთხრეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აღრიცხავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლებს.

გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!

მიმდინარე წლის 1 ნოემბერს, 13 საათზე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში (გუდიაშვილის ქ. №7) საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარი“, საგვარეულო კავშირის საზოგადოება და საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია წარმოგიდგენთ პროექტს –

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!..“

მობრძანდით, გარწმუნებთ, რომ ძალიან ისიამოვნებთ. დასწრება თავისუფალია!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9460; ევრო - 3.2686;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7809;
100 რუბლი - 4.6276; თურქული ლირა - 0.5134;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7328;
1000 სომხური დრამი - 6.1852.

ამინდი 30 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	17
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge